პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეორე

# კომუნისტი

ს. კ. პ.
ცენტრ. და თბილის.
კომიტეტის
და ხრ. საქ. მ, გ. წ.-ა.
და მატრ. დეპ. ხაზ.
ცაკის
ორგანო.

რედაქცია: თბილისი, კრუზენ. ქ. № 4, მე 8 სართული.
მთავარი კანტორა: თბილისი, რუსთაველის პრ. № 14 მე-2 სართული ტელეფ. 5—48

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე.

ტელეფ. ნომრები: რედაქტორის 14—76, მდივნის—19

ხელის მოწერის თვიური ფასი: საქართველოში 100.000 მ. ქ. ა. სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში 250 მ. 1922 წ. ნიშნებით. განცხადება—10 ათ. მ. ნონპარელის სტრიქონი, სამგლოვიარო განცხადება 300 ათ. მ.

№ 231 კვირა, 8 ოქტომბერი 1922 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5,000 მან. № 231

## დღიური

— მუდანის კონფერენციამ თავისი მუშაობა დროებით შეჩერა.

— საბერძნეთის დელეგატებმა მუდანში მიღებულ დროებითი ზავის პირობებზე ხელს არ აწერენ.

— იტალიაში ფაშისტებმა კვლავ დაიწყეს გამოსვლები.

— ოსმალები შეტევას განაგრძობენ ჩანაკას და სტამბოლში.

ორშაბათს, 9 ოქტომბერს საღამოს 6 საათზე ქალაქის აღმასკომის შენობაში შესდგება კრებები

**კომუნალური მეურნეობის, სახალხო განათლების და ქალაქის ჯანმრთელობის განყოფილების**

## სექციებისა.

ვთხოვთ ყველა ამხანაგებს გამოცხადდენ თავის დროზე.

(3—8) მდივანი: **ხუნდაძე.**

---

**ორშაბათ, 9 სექტემბერს, საღამოს 6 საათზე,**

**საქ. პროფკავშირთა საბჭოს დიდ დარბაზში (შესავალი ბარიატინის ქუჩიდან)**

**გაიმართება**

**საქართველოს პროფკავ. საბჭოს გაფართოებული პლენუმის**

## სხდომა

კავშირთა ცენტრალურ მმართველობის, ფაბრიკა-ქარხნების და ადგილობრივ კომიტეტების მონაწილეობით.

დღის წესრიგში:

1, მოხსენება სრულიად რუსეთის პროფკავშირთა 5-ე ყრილობის მუშაობის შესახებ. (მომხ. ამხ. ყურულიშვილი და ნუცუბიძე);
2. დედობის და ბავშვობის დაცვის შესახებ (მარკოსოვი).
3. მიმდინარე საქმეები.

საკითხის მნიშვნელოვანობის გამო პლენუმის ყველა წევრთა და ფაბრიკა-ქარხნების და ადგილობრივ კომიტეტების დასწრება სავალდებულოა.

საქ. პროფკავ. საბჭ. პრეზიდიუმის მდივანი—გუგუშვილი.

(380—2—2)

---

# ფაშიზმი და კომუნიზმი იტალიაში

ამ დღეებში შესდგა იტალიის სოციალისტურ პარტიის კონგრესი, რომელმაც ხმების უმრავლესობით მიიღო რეზოლიუცია პარტიიდან რეფორმისტების გამორიცხვის და პარტიის კომუნისტურ ინტერნაციონალთან შეერთების შესახებ.

საყურადღებოა აგრეთვე ცნობაც ფაშისტების ტერორის და თარეშის შესახებ იტალიაში, კერძოდ ბაცონში. ამ რაიონში მათ აღმართეს უკიდურესი ნაციონალისტური დროშა, ისინი მოითხოვენ გერმანულ უმცირესობის უფლებების შეზღუდვას, საერთო წარმომადგენლობის გაუქმებას, მთავრობის კომისარის დანიშვნას, ნემეცურ სკოლაში სწავლების შემოღებას იტალიურ ენაზე და სხვა. ფაშისტების მეთაური მუსოლინი იმუქრება, თუ მთავრობამ უარყო ეს მოთხოვნები, მაშინ ფაშისტები შეიარაღებული ძალით დაიკავებენ სამხრეთ ტიროლსო.

მიღებული ცნობით, იტალიის მთავრობა თავს უყრის ჯარებს ბეცონის მახლობლად.

ეს ორი ცნობა—იტალიის სოციალისტურ პარტიის დადგენილების და ფაშისტების მოქმედების შესახებ თუმცა ეხება სხვადასხვა ამბებს, მაგრამ აღნიშნულ ამბებს უეჭველად აქვს ერთმანეთთან ერთგვარი შინაგანი კავშირი.

ფაშისტების ზემოდ ხსენებული მოქმედება მხოლოდ ერთი ჩვეულებრივი ეპიზოდია მათი „მოღვაწეობიდან“. ამ ჭეშმარიტ ხულიგანებს ახასიათებს არა მარტო შოვინიზმი, არამედ ისინი იმ თავითვე დაუნდობელ ბრძოლას აწარმოებენ იტალიის მუშების წინააღმდეგ, ამასთან თავიანთი ორგანიზაციით ამაგრებენ საერთოდ ევროპის რეაქციას.

ფაშისტებმა განსაკუთრებით გააძლიერეს იერიში მუშებზე და მათზე პირდაპირ ნადირობას ეწეოდნენ მას შემდეგ, როცა იტალიის მუშებმა 1920 წელში ხელში ჩაიგდეს ფაბრიკა-ქარხნები და ჩაებმენ სისხლიან ბრძოლაში კაპიტალისტებთან. ფაშისტების ორგანიზაცია, რომელიც მაშინ შესდგებოდა უმთავრესად შავი წარსულის მქონე პირების, ფრონტიდან დაბრუნებულ გახულიგანებულ ოფიცრებისა და ყველა საეჭვო ელემენტებისაგან, საშინელ თეთრ ტერორს აწარმოებდა, როგორც მასსიურს, მთელი მუშათა ჯგუფების და რაიონების, ისე ინდივიდუალების, ცალკე მოწინავე მუშების წინააღმდეგ. უკანასკნელ ორი-სამ წლის განმავლობაში არა ერთხელ გამართულა იტალიის ქალაქების ქუჩებში სისხლის მღვრელი, ხელჩართული ბრძოლა ფაშისტებსა და მუშებს შორის, სხვა და სხვა შემთხვევების გამო.

მაგრამ ფაშიზმი იბრძვის მუშათა კლასის და საერთოდ მშრომელთა წინააღმდეგ არა მარტო რკინით და ცეცხლით, არამედ სხვა საშუალებითაც. ფაშისტები ხან და ხან იცვლიან ტაქტიკას და, წარმოიდგინეთ, გამოდიან მშრომელთა დამცველის როლში. მაგალითად, გარემოების მიხედვით, მოითხოვენ მუშების ხელფასის მომატებას, სამუშაო დროის შემცირებას, მიწების განაწილებას მშრომელ მეურნეთა შორის და სხ. ცხადია, მათ კარგად ესმით, რომ მუშათა კლასის დამორჩილება მარტო იარაღით არ შეიძლება, ისინი ცდილობენ მისი იდეოლოგიურად დამონებას, სულიერად მოწამვლას. ასეთ მათ მოქმედებას ნაყოფიც გამოაქვს. ფაშისტების ორგანიზაციაში ურევიან მუშებიც და სოციალურ მდგომარეობით უკანასკნელებთან დაახლოვებული ელემენტები. პროფკავშირებში ფაშისტების მომხრეები საგრძნობ ძალას შეადგენენ.

ფაშისტების ასეთ გაძლიერებაში, იმ სამარცხვინო მდგომარეობის შექმნაში, როცა მუშათა კლასის ნაწილს დაბნელებული აქვს კლასობრივი შემეცნება იმდენად, რომ გადასულა თავის აშკარა მტრის ბანაკში და ამტკიცებს მის პოზიციას, უდიდესი დანაშაული, ეჭვი არ არი, მიუძღვით სოციალ შეთანხმებლებს.

უნდა ითქვას, რომ იტალიის სოციალისტურმა პარტიამ ამ რამოდენიმე წლის განმავლობაში უდიდესი კრიზისი განიცადა. შარშან მომხდარ ყრილობაზე მემარჯვენე ჯგუფს შეუერთდა ცენტრი. კომუნისტები ცალკე გამოეყვნენ, და მხოლოდ ისინი იდგნენ აშკარა კლასობრივ ბრძოლის ნიადაგზე. „სოციალისტურ“ პარტიაში კი მთელი ძალა უფლება ჩაიგდეს ხელში მემარჯვენეებმა. ცენტრის ჯგუფი, სერატის მეთაურობით ნამდვილი მახანჩალა გახდა მათი. სერატის ჯგუფი კი აშკარა მოღალატურ პოლიტიკას აწარმოებდა მუშათა კლასის მიმართ. ფაშისტებმაც კი დაინახეს შესაძლებლად მათთან საერთო ენის გამონახვა. მოსალოდნელი იყო, რომ ასეთი პოლიტიკა უკმაყოფილებას გამოიწვევდა თვით პარტიის უფრო ჯანსაღ ელემენტებში. მართლაც, იქ ბოლო დროს გაძლიერდა მემარცხენე მიმართულება, მაქსიმალისტების ჯგუფი. პარტიის ყველა ჯერ კიდევ ცოცხალი, რევოლიუციონური ელემენტი დარწმუნდა, რომ შეუძლებელია ძველი გზით სიარული, რომელსაც მიჰყავს ფაშისტებთან დაახლოვებამდე, რომ საჭიროა კავშირის გაწყვეტა რეფორმისტებთან და კლასობრივ პოზიციაზე დადგომა, რათა შესაძლებელი გახდეს მუშათა კლასის ნაყოფიერი ბრძოლა შეტევაზე გადმოსულ კაპიტალის და რეაქციის წინააღმდეგ. როგორც ეხლანდელი კონგრესის დადგენილებიდან ჩანს, ეს მიმდინარეობა იმდენად გაზრდილა, რომ პარტიის უმრავლესობა მის მხარეზე აღმოჩენილა.

უდიდესი მნიშვნელობა აქვს ამ ფაქტს როგორც იტალიის, ისე მუშათა საერთაშორისო მოძრაობისათვის. ამის შემდეგ ძალთა განწყობილება იტალიაში საგრძნობლად იცვლება, მუშების კლასობრივი შემეცნება უფრო განვითარდება, დაჩქარდება პროლეტარიატის შეკავშირების, დარაზმვის, ერთიანი ფრონტის შექმნის პროცესი, რაც უეჭველად შეარყევს და საფრთხეს განუმზადებს ფაშისტების და საერთოდ ექსპლოატატორთა ხროვის თარეშს და მოაახლოვებს პროლეტარულ რევოლიუციას.

მეორე მხრივ, იტალიის მაქსიმალისტების შეერთება მესამე ინტერნაციონალთან დიდი გამარჯვებაა ამ უკანასკნელის. კომინტერნი, გაძლიერებული ახალი რაზმით, უფრო ადვილად და ადრე შესძლებს შეტევის დაწყებას კაპიტალისტურ რეჟიმის დასამხობად.

ამასთან იტალიის სოციალისტურ პარტიის მაგალითი გაკვეთილი იქნება ყველა იმ მერყევ ელემენტებისათვის, რომელნიც ჯერ კიდევ დგანან გზაჯვარედინზე და ვერ გადაუწყვეტიათ, თუ ვისთან უნდა იყვნენ, მესამე და მეორე ინტერნაციონალთან.—კომუნისტურ ინტერნაციონალთან, რომელიც არის მსოფლიო რევოლიუციის მედროშე,—ასეთ პასუხს აძლევს მათ იტალიის სოციალისტურ პარტიის უკანასკნელი კონგრესი.

# პასუხი ფინანსისტს

გაზ. „ზარია ვოსტოკაში“ №№ 82 და 83, დაბეჭდილია წერილი შემდეგი სათაურით „საკითხი საბჭოთა რუსეთთანამიერ კავკასიის ფედერაციის ფინანსიურ გაერთიანების შესახებ“. წერილი სამ ნაწილად იყოფა: მოთხრობა, განმარტება და ბრალდება. მოთხრობითი ნაწილში ავტორი აღნიშნავს, რომ ფინანსიური საკითხი ამიერკავკასიაში მეტად დახლართულია, ამ საკითხს დიდხანს იხილავდენ და აწესრიგებდენ, მაგრამ აქედან არაფერი არ გამოვიდა, სანამ ბოლოს, მოსკოვიდან არ ჩამოვიდენ ამხ. სოკოლნიკოვი, ფრუმკინი და იზმაილოვი და საბოლოვოდ არ გაარკვიეს იგი.

რომ ფინანსიური საკითხი გაურკვეულია და აბნეული არა მარტო აქ, არამედ მთელ მსოფლიოში, ეს ყველას კარგად მოეხსენება. რომ ჩვენ ვცდილობდით შეძლებისდაგვარად ამ საკითხის მოგვარებას და არა მარტო საქართველოს არამედ მთელ ამიერკავკასიის მასშტაბით—ესეც ყველამ კარგათ უწყის, მაგრამ არავინ არ იცის და ძალიან დიდი საკითხია, არის თუ არა ახალი ფინანსიური რეფორმა, რომელიც დაკავშირებულია ამხანაგების ჩამოსვლასთან, ფინანსიურ საკითხის გამორკვევა თუ კიდევ უფრო გაბუნდოვანება ამიერკავკასიის მაინც.

რომ ნათელვყოთ ეს, საჭიროა შევეხოთ წერილის მოთხრობით ნაწილს. იმისი სათაური შესდგება: „საჭიროა თუ არა ფინანსიური გაერთიანება“. მაგრამ იმის მაგიერ, რომ შეუდგეს საკითხის ანალიზს, ავტორი მსჯელობს იმის შესახებ, თუ რა დიდი ზიანი მოაქვს პასიური სავაჭრო ბალანსს საქართველოსათვის, რომ რუსეთის ფქვილი და მანუფაქტურა მაღალი ხარისხისაა და საჭიროა მას მიეკუთნოს უპირატესობა იტალია-ანტანტის და დამპალ საქონლის წინაშე და ბოლოს, რომ ადგილობრივი ფულის ბაზარი დაპყრობილი აქვს უცხოეთის და კერძოდ კონსტანტინეპოლის ბაზარს. გაზ. „ზარია ვოსტოკა“-ს ფინანსისტს არა თუ არ შეუძლია ფინანსიური საკითხის გადაჭრა, არამედ მისი დასმაც კი ვერ აზერხებს.

ფინანსიური გაერთიანება შეიძლება გავიგოთ როგორც ა) რესპუბლიკების ბიუჯეტების გაერთიანება და ბ) როგორც ფულის და ბიუჯეტების გაერთიანება. რომელ გაერთიანებისათვის ილწვით თქვენ? მე დარწმუნებული ვარ, რომ როდესაც თქვენ სწერდით წერილს თქვენ თითონ არ იცოდით ეს. თქვენ მხარს უჭერთ გაერთიანებას, მაგრამ რის დაგის გაერთიანებას ეს შემდეგ გავარკვიოთ.

რესპუბლიკების ბიუჯეტების გაერთიანებას მაშინ აქვს აზრი, როდესაც ბიუჯეტები არსებობს. ეს ჯერჯერობით არ არის. არც ერთ საბჭოთა რესპუბლიკა სამწუხაროთ ჯერ არ მომწიფებულა სახელმწიფო მეურნეობამდე, რომელიც დამყარებულია ბიუჯეტებზე. ჩვენ არა გვაქვს არა მარტო სახელმწიფოებრივი, არამედ უწყებათა ბიუჯეტიც კი. განა სამეურნეო კომისარიატები იცნობენ თავის განყოფილებების სამეურნეო მდგომარეობას? არა და არა. განა ფაქტი არ არის, რომ სამეურნეო კომისარიატის ერთი რომელიმე განყოფილება მთელი თვეობით არ აძლევს მოსამსახურეებს მცირე ჯამაგირსაც და ვერ ყიდულობს მასალებს უფულობის გამო, ხოლო მეორე განყოფილება კოლოსალურ ჯამაგირს აძლევს „სპეცებს“ ავანსის სახით.

დიდი დრო გაივლის ჯერ კიდევ მანამდე, სანამ ჩვენი უწყებები განახორციელებენ მეურნეობის ერთიან გეგმას, და კიდევ მეტი დრო დასჭირდება, სანამ ისინი შეადგენდენ ბიუჯეტს და კიდევ უფრო მეტი მანამ, სანამ ჩვენ უწყებების ბიუჯეტებიდან შევსძლებთ რესპუბლიკის შემოსავალ გასავლის აღრიცხვას.

საბჭოთა რუსეთთან მონეტარულ-სავალიუტო გაერთიანება ჩვენ აზრიანად და აუცილებლადაც მიგვაჩნია; მაგრამ ჩვენ ეს გაერთიანება სულ სხვა გვარად გვესმის, ვიდრე თქვენ. თქვენი გზა გაერთიანებისაკენ არის ადმინისტრატიულ პოლიტიკური გზა. ხოლო ჩვენი ეკონომიური. თქვენ გვეუბნებით: „მოსპეთ მაღალი მტკიცე ქართული მანეთიანი და შემოიღეთ იმის მაგიერ რუსული ფულის ნიშანი, ან ამიერ-კავკასიის ფულის ნიშანი, რომლის კურსი უნდა უდრიდეს რუსეთის ფულის კურსს“. (რაც ერთი და იგივეა). ჩვენ გიპასუხებთ: ეს ფინანსიური გაერთიანება კი არა, ფინანსიური დანგრევაა. თქვენ ამით არაფერი მოგემატებათ, ხოლო ჩვენ ბევრი რამ დაგვაკლდება.

ჩვენ [illegible] არ მოისპოს მტკიცე ქართული მანეთიანი, არამედ გავავრცელოთ იგი შეცვლილი სახით მთელ ამიერ-კავკასიაზე. რუსეთის ფულის ნიშნებს შეუძლია შესცვალოს ადგილობრივი ნიშანი მაშინ, როდესაც თავისუფალ ბაზარზე მისი კურსი იქნება თანასწორი ან უფრო მაღალი უკანასკნელზე. რომ თქვენ ძალიან არ აჩქარებულიყავით,—ეს მოხდებოდა თავის დროზე, თავისთავად ბუნებრივი გზით.

მაგრამ შესაძლოა ჩვენ ფინანსისტს აქვს სხვა რაიმე ღრმა მოსაზრებები ადგილობრივ ფულის ნიშნების რუსეთის ნიშნებზე შეცვლის სასარგებლოდ, ვნახოთ. თურმე აი რა ყოფილა.

აქ საქართველოში სამეურნეო კონიუნქტურა შეიქმნა კონსტანტინოპოლის ბაზრისაგან სრული დამოკიდებულების ნიადაგზე. ეს, როგორც სჩანს არის ავტორის ერთი ულრმესი მოსაზრებათაგანი რუსეთის ფულის დაუყონებლივ შემოსაღებად. რა თქმა უნდა ეს ავტორის საიდუმლოებას შედგენს, თუ რუსეთის ფულის შემოღება როგორ დაგვიხსნის ჩვენ ამ „დამოკიდებულებისაგან“. მაგრამ მაინც რა სურს მას, ნუ თუ ის, რომ ჩვენ არაფერი გავყიდოთ კონსტანტინოპოლის ბაზრის საშუალებით? როგორც სჩანს, არა. პირიქით ის ავტორიტეტულად აცხადებს: „ექსპორტის განვითარება ფრიად სასურველია“. მას აი რა აფიქრებს, რომ „საქართველოს იმპორტი აღემატება ექსპორტს 10 ჯერ, ვინაიდან ბათუმის საშუალებით გატანილია 444 288 ფუთი საქონელი 1,390 მილიონი მანეთისა ქართული ფულის ნიშნებით, ხოლო შემოტანილია 2.579.000,436 ფუთი, 10.305,545 ათასი მანეთის საღირალი. ნება მიბოძეთ შეგნიშნოთ ამხანაგო „ფინანსისტო“, რომ ექსპორტი აგრეთვე მჭიდროთ არის დაკავშირებული იმპორტთან და ერთი მეორეს გარეშე არ ხდება, რაც შეეხება იმას, რომ საიმპორტო თანხა აღემატება საექსპორტოს, დიე ეს თქვენ იცოდით, რომ მიწათ მოქმედების ქვეყნებს გააქვთ ნედლი მასალა, ხოლო სამრეწველო ფაბრიკატები და ნედლი მასალა ყოველთვის უფრო იაფია ფაბრიკატებზე.

თუ თქვენ დამოკიდებულებას უწოდებთ ამას, მაშინ თქვენ დამერწმუნეთ, რომ რუსეთი წინადაც, ეხლაც და მომავალშიაც იყო, არის და იქნება დამოკიდებული ვისგანაც გნებავთ. 1914 წ.—1917 წლამდე რუსეთის ექსპორტი უდრიდა 2399.2 მილ. ოქრ. მანეთს. ხოლო იმპორტი 7004,5 მან. ოქროს მან. შემდეგ მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა და „დამოკიდებულებამ“ თქვენი ტერმინოლოგიით კიდევ უფრო გაიზარდა. 1918 წ.—1921 წ. ექსპორტი უდრიდა 30 მილ. ოქრ. მანეთს, ხოლო იმპორტი 350 მილ. ოქრ. მანეთს. აი რა საშინელი „დამოკიდებულება“. ეს ერთი, მეორეც, თუ მივდევთ თქვენ აბსურდულ ტერმინოლოგიას დამოკიდებულების და დამოუკიდებლობის შესახებ, მაშინ მე თქვენ მგონია დაგიმტკიცოთ, რომ არა ჩვენ, არამედ კონსტანტინოპოლია დამოკიდებული ჩვენგან. თქვენ ბრძანებ, რომ ბათუმის საშუალებით შემოსულია 2.579 436 ფუთი საქ. ღირებულებით 10 305 545 ათასი მან., მე კი მოგახსენებთ, რომ მხოლოდ ერთი შავი ქვა გატანილია საქართველოდან 6 820 ათასი ფუთის რაოდენობით, საიდანაც 10 ათასი ტონა პეროქსიდია და 100 ათასი ტონა შავი ქვაა,—პეროქსიდის ფასი უდრის 110 ათას გირ. სტერლინგს, შავი ქვის ფასი 150 ათას გირ. სტერლინგს, სულ მაშასადამე 260 ათას გირ. სტერლინგს. ეს თანხა აღემატება თქვენ მიერ აღნიშნულ საიმპორტო თანხას 26 ჯერ და მეტ ჯერ. მაშასადამე თქვენის ანგარიშით, კონსტანტინოპოლი „დამოკიდებულია“ ჩვენგან 26 ჯერ მეტად ვიდრე ჩვენ კონსტანტინოპოლისაგან. ეს ისეთვე მართალია. როგორც ის, რომ თქვენ ფინანსისტი ხართ და არა „ფინჩი“.

ჩვენი ფინანსისტი, როგორც სჩანს იმყოფება არკადი ავერჩენკოს ძველი ისტორიის შთაბეჭდილების ქვეშ. იქ ნათქვამია, რომ ასურელები სარდანაპალის დროს სავაჭრო ბალანსის გადაჭარბებულ პასიურობის გამო, ჩავარდნენ ფუფუნებაში და დაიღუპნენ. აი ამიტომაც არის, რომ მასში, „იმპორტის გადაჭარბებული ზრდა დიდ ეჭვს ბადებს“. საქართველოსაც იგივე ბედი ეწევა, ვინაიდან იმპორტის საგანს შეადგენს „სასურსათო საგნები და შემდეგ მანუფაქტურა“ თითონ თქვენ განსაჯეთ ვის არ გაუყვნის [illegible] საგნები, როგორიცაა [illegible] და ჩითი. მაგრამ აქ [illegible] ავტორმა უნებურად შესტოპა. [illegible] არ უნდოდა ეთქვა არ არის საჭირო ფქვილი და მანუფაქტურა, და უნდა შევიძინოთ ეს საქონელი მაშინ. როდესაც იგი რუსეთის ნაწარმოებია, ვინაიდან მხოლოდ ამ შემთხვევაში არის იგი „უფრო მაღალი ხარისხისა და ფასიც ნაკლები აქვსო“—ეს უკვე კომ-უაზრობაა (ком чепуха) ამხ. „ფინანსისტო“, თუ კი სტავროპოლის, ან ყუბანის პური, ან მოსკოვის მანუფაქტურა აქ უფრო იაფი იქნებოდა, ვიდრე კონსტანტინოპოლიდან მოტანილი იგივე საქონელი, მაშინ არც ერთი რეგვენი, თქვენი აგიტაციით თუ არა, ახლოსაც არ მიეკარებოდა ამერიკის დამპალ ფქვილს და იტალიის მანუფაქტურას. მით უმეტეს ამხ. „ფინანსისტო“, რომ თქვენს გარდა გაერთიანებული საგარეო ვაჭრობის კომისარიატიც, ეცდილობდა, რომ ჩვენ არ შევჩვეულიყავით ფუფუნებას და გვაჭმევდა ჩვენ გრიფინის დამპალ და ძვირფას ფქვილს. მაგრამ, მგონი, თქვენ აქაც ვერ გამოსთქვით ის, რის თქმაც გსურდათ. თქვენ გვეუბნებით, ან იყიდეთ რუსეთის პური და მანუფაქტურა, ან სულ ნუ იყიდით, აი თქვენი სიტყვების ნამდვილი აზრი. მაგრამ ერთიც ვნახოთ რუსეთის პურმა ვერ მოაღწია ჩვენამდე, ან ჩვენ ვერ შევსძლებთ მივაღწიოთ რუსეთის პურამდე, მრავალი მიზეზების გამო, ან ვთქვათ ეს პური ასჯერ უფრო მეტი ფასობს, ვიდრე იგივე გრიფინის პური სტამბოლიდან მოტანილი, ნუ თუ თქვენ ფუფუნების შიშით მაინც აგვიკრძალავთ მის ყიდვას? აი ამაზე ჩვენ ვერასოდეს ვერ დაგეთანხმებით. ამიტომ მოდი დავდოთ ასეთი პირობა. ჯერ თქვენ მოიტანეთ, ან მოგვეცით საშუალება მოვიტანოთ მანუფაქტურა და პური რუსეთიდან ბაზრის ფასებში, და შემდეგ ილაპარაკეთ კონსტანტინოპოლიდან პურის შემოტანის აკრძალვის შესახებ.

კონსტანტინოპოლის ბაზრის მიერ ადგილობრივ ბაზრის „დამოკიდებულების და დაპყრობის“ საუკეთესო მაგალითი არის ავტორის აზრით აქაური სავალიუტო ურთიერთობა.

რა! ა ჰკავს ეს. ბათუმში კერძო სავაჭრო ანგარიშები სწარმოებს ლირებში, „უკანასკნელი და არა ქართული ფულის ნიშნები არის ღირებულების საზომი“, ხოლო ლირა თავის ხრივ მუდმივ რყევას განიცდის, გემის მოსვლაც კი გავლენას ახდენს მის კურსზე, იმ მხრივ რომ კურსი 20—25 პროცენტით იზრდება. ამის გამო, „თუ შესაძლებელია ავიცილოთ კონსტანტინოპოლიდან ეკონომიური დამოკიდებულება, დავიჭიროთ რაც უფრო მჭიდრო კავშირს რუსეთთან, მაშასადამე შესაძლოა და საჭიროც არის თავი დავახწიოთ სავალიუტო დამოკიდებულებას, ევროპის ბაზარს, ოსმალეთის ლირის ბატონობას და სავალიუტო სპეკულიაციის ციებ-ცხელებას“.

ამრიგად, ბათუმში კერძო ანგარიში სწარმოებს ლირებზე და ამიტომ საბჭოთა სამმართველო ეკონომიურად დამონებულია სტამბოლის მიერ. რას იტყვით მაშინ ამხ. „ფინანსისტო“, თუ ჩვენ გაცნობებთ, რომ მოსკოვში არა მარტო კერძო პირები, არამედ საბჭოთა დაწესებულებები, როგორც საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატი, აწარმოებენ ანგარიშს ნიკოლოზის ოქროს მანეთებით, გირვანქებით, კრონებით და მარკებით. ვის ორიენტაციას აღიარებენ სინი და ვის მიერ არიან დამონებული? ხოლო ქართული ბონები რომ ლირაზე ნაკლებ ფასობს ამაში ამხ. „ფინანსისტო“ სრულებით არა ვართ დამნაშავე. ჩვენ ბევრი ვეცადეთ დაგვეღუპა ოსმალეთის ლირა სხვა და სხვა მახინაციებით, როგორიც „დაღუპეთ“ რუსეთის ფულის ნიშნები, მაგრამ არაფერი არ გამოვიდა. ის რადგან გაძლე ფულია, ვერას გახდები. ბოლოს ჩვენ დავიმშვიდეთ ჩვენი სინიდისი იმით, რომ, არსებითად რომ ვსთქვათ, მთელ მსოფლიოში ორი გაბატონებული ვალიუტაა—ამერიკული დოლარი და გირვანქა სტერლინგი, ისინი ითვლებიან მსოფლიოს საანგარიშო ნიშნებად და იმათ კვალობაზე ხდება სხვა ყველა ფულის ნიშნების შეფასება.

ვალიუტის რყევას რა თქმა უნდა ადგილი აქვს არა მარტო ჩვენში არა მარტო გემის მოსვლის დროს, არამედ მაშინ, როცა ბაზარზე განჩნდებიან კერძო სქელჯიბიანი, მაგრამ ნუ თუ ეს არგუმენტია ადგილობრივ ნიშნების რუსეთის ფულის ნიშნებზე შეცვლისათვის. თავი დაანებეთ ამხ. „ფინანსისტო“, ამას სჯობს სხვა რამე მოიგონეთ, ოსმალური ლირას უდიდესი კურსი ტფილისში ჰქონდა მაშინ, როდესაც ადგილობრივ ფულის გვერდით ხმარებაში იყო რუსეთის ფულის ნიშნები. ის ღირდა მაშინ 600 ათასი მანეთი, როგორც რუსეთის ისე ქართული ფულის ნიშნებით. ეხლა კი როგორც თქვენ იცით იგი გაცილებით ნაკლებ ფასობს. ამგვარად ადგილობრივ ფულის ნიშნების რუსეთის ფულის ნიშნებზე შეცვლა არა თუ არ გვიხსნის ჩვენ „ოსმალეთის ლირის ბატონობისა და სავალიუტო სპეკულიაციისაგან“, არამედ კიდევ უფრო გააძლიერებს მათ

რუსეთთან მჭიდრო ეკონომიური კავშირი, რა თქმა უნდა ფრიად სასურველია, მაგრამ განა ეს ნიშნავს იმას, რომ ბათუმი და ფოთი დაიხუროს? არავითარი ამის მსგავსი. თუ მთელ საქართველოში დასახლებული იქნება თქვენისთანა ფინანსისტებით—სულ ერთია თქვენც იძულებული იქნებით გაიცნოთ და შეიტანოთ საქონელი იმავე კონსტანტინოპოლის საშუალებით და თქვენი ტერმინოლოგიით, დამოკიდებულიც იქნებით იმისაგან. კომ უაზრობაა რა თქმა უნდა, იმედი იმისა, რომ ყველაფერის მიღება შესაძლებელია რუსეთიდან, განსაკუთრებით დღეს. საბჭოთა რუსეთის საგარეო ვაჭრობის კომისარიატმა მიმდინარე წლის პირველი 5 თვის განმავლობაში გაიტანა საზღვარ-გარეთ 10.573.885 ფუთი სხვა და სხვა საექსპორტო საქონელი 20.743 294 მანეთად ღირებული. თუ მთელი ეს ექსპორტი ჯერ-ერთი ყოფილიყო არა ნედლი მასალა, არამედ ფაბრიკატები და მეორეს მხრივ მთლიანად გამოგზავნილიყო ამიერ-კავკასიაში, ესეც არ იქნებოდა საკმარისი უკანასკნელისათვის, ვინაიდან ამიერ-კავკასიამ იმავ ხუთი თვის განმავლობაში მიიღო შავი ზღვის ნავთსადგურების საშუალებით (საიდუმლოთ გეტყვით) საქონელი, რომლის ფასი გაცილებით აღემატება სრულიად რუსეთის საგარეო ვაჭრობის კომისარიატის ექსპორტს, ამავე დროს მხოლოდ ერთმა კერძო საზოგადოებამ „ჩემომ“ იმავე ნავთსადგურების საშუალებით გაიტანა დაახლოვებით იმდენივე საქონელი, რამდენიც იმავე საგარეო ვაჭრობის კომისარიატმა.

ჩვენ მიერ მიღებულ ცნობების თანახმად, საბჭოთა რუსეთის ფინანსთა სახ. კომისარიატი ყოველ ძალ ღონეს ხმარობს, რათა დაიცვას რუსეთი საგარეო ვაჭრობის კომისარიატის სამეურნეო ბლოკადისაგან. აღარ მესმის, რატომ მოითხოვთ თქვენ ამხ. „ფინანსისტო“ ბათუმის და ფოთის ნავთსადგურების დახურვას, იმიტომ რომ მათი საშუალებით მოდის კონსტანტინოპოლიდან დამოკიდებულება? სადღა წავიღოთ მაშინ შავი ქვა და აბრეშუმის პარკი, რუსეთი ხომ არ არის ამ საქონლის მომხმარებელი? ან იქნებ თქვენის აზრით გატანა შეიძლება, ხოლო შემოტანა არა.

რუსეთთან მჭიდრო ეკონომიური კავშირი გვიკარნახებს ამ ნავთსადგურების არა თუ დახურვას, არამედ ძალიან ფართოდ მათ გახსნას. საბაჟო პოლიტიკაში უნდა მივსდიოთ ფართო გაღებულ კარების პოლიტიკას. მუშათა და გლეხთა ფართო მოხმარების საგნები სავსებით უნდა განვთავისუფლოთ საბაჟო გადასახადისაგან. უნდა მოისპოს ყველა დაბრკოლებანი და შეზღუდვანი ბათომიდან და ფოთიდან რუსეთის ყველა კუთხეებში საქონლის თავისუფალი გატანისათვის. უნდა აღდგენილ იქნას ძველად არსებული საქონლის შეღავათიანი ტარიფი შორს გასაგზავნ ტვირთებისათვის. მაშინ თერგის და ყუბანის ოლქები და სტავროპოლის გუბერნია და შეიძლება როსტოვიც და ხარკოვიც მიიღებენ საქონელს, ბათომით და ფოთით. როგორ ფიქრობთ თქვენ, არ იქნება ეს რუსეთთან ეკონომიური კავშირის განმტკიცება?

ამის მაგივრად თქვენ გვირჩევთ „დახურეთ ბათომი და ფოთი, ვინაიდან მათი საშუალებით მოდის დამონავება და ყველაფერი რუსეთიდან მიიღეთო“. თქვენ თვითონ არ იცით, რასაც ამბობთ.

რუსეთი ხომ თვით იმპორტის ქვეყანაა. და შემოქონდა მას მხოლოდ და მხოლოდ დამზადებული ფაბრიკატები, გაქონდა კი უმთავრესად ნედლი მასალა. მხოლოდ ერთ გერმანიიდან 1913 წელში რუსეთმა შემოიტანა 642 მილ ოქრ. მანეთის საქონელი, ხოლო ევროპის სხვა ქვეყნებიდან ცოტა უფრო მეტი. ზოგჯერ, შემოტანილი საქონელი არ ჰყოფნიდა მთელ მის მოთხოვნილებას. და, როდესაც იმპორტი ას ოთხმოჯერ შემცირდა, როგორღა უნდა დაფაროს მან მთელი თავისი მოთხოვნილება, და შემდეგ არგუნოს საქონელი რესპუბლიკის განაპირა კუთხეებსაც, თუ თქვენ გგონიათ, რომ 13 წლიდან რუსეთში მრეწველობა იმდენად განვითარდა, რომ მას შეუძლია იცხოვროს უიმპორტოთ და კიდეც გაიტანოს ფაბრიკატები—ეს თქვენი საქმეა, მაგრამ ყველა თქვენსავით არ ფიქრობს.

ამდენხანს რუსეთის ფულის ნიშნების შემოღების დასაბუთებას ჰქონდა საერთო ეკონომიური ხასიათი. ეხლა ავტორი გადადის წმინდა ფინანსიურ მოსაზრებებზე და აი თურმე რა ხდება „ფასები (საქართველოში) აკეთებენ ისეთ ნახტომებს, როგორსაც არ აკეთებდა ის თავის დროზე რუსეთში მანეთის მერყეობის ხანაში“. ამავე დროს რუსეთში მანეთის კურსის დაცემა შეჩერებულია, მიღებულია განსაზღვრული სიმტკიცე, მანეთის მერყეობა ჩაყენებულია ვიწრო საზღვრებში. ამ გვარად რუსეთში მანეთმა მოიპოვა მტკიცე მდგომარეობა და არის საბუთი ვიფიქროთ, რომ მისი პოზიცია კიდევ უფრო გაუმჯობესდება“.

ეს არის უკვე არა უბრალო (ком-враное) კომტყუილი, არამედ გესლიანი კომ-ტყუილი ყველამ კარგად იცის, რომ თბილისის ბაზრის განსაკუთრებულ თვისებას შეადგენდა საქონლის და ვალიუტის ფასების სიმტკიცე. ეს არა ერთხელ იქნა აღნიშნული რუსეთის პრესის მიერ. მაგალითისათვის დავასახელებთ ამხ. აუერბახის და ლევინის წერილებს „მოსკოვის ეკონომიჩესკაი ჟიზნ“ში. ხოლო თუ ჩვენმა ავტორმა არ იცის ის რაც ყველასათვის ცხადია, ჩვენ არა ვართ დამნაშავე ამაში. ჩვენ შეგვიძლია ცხადვყოთ ეს ნისთვისაცა. აი მოსკოვში და თბილისში არსებულ კურსის შედარებითი ცხრილი, საიდანაც აშკარად სჩანს სად ვინ ხტის და სად რა მტკიცდება.

ვალიუტა ღირდა თბილისში:

| | 3 თებერვალს | 1 ივნისს | 30 სექტემბერს |
|---|---|---|---|
| ოქროს ათ მანეთიანი | 5 ნახ. მილ. | 1.350 ათასი | 1.250 ათასი. |
| გირვანქა სტერლინგი | 4-ნახ. მილ. | 1.130 „ | 1.245 „ |
| ოსმალური ქაღ. ლირა | 660 ათ. მან. | 193 „ | 182 „ |

უნდა ითქვას რომ აქ აღძრულია არა ოფიციალური, არამედ თავისუფალი კურსი—ეგრედ წოდებულ შავი ბირჟის კურსი.

ეხლა ავიღოთ არა თავისუფალი, არამედ ოფიციალური კურსის კოსკოვის ბირჟისა იმავე თვეების განმავლობაში:

ვალიუტა ღირდა მოსკოვში

| | 10 ოქტომ. | 6 იანვ. | 25 ნოემბერი |
|---|---|---|---|
| ოქროს ათმანეთ. . . | 1.400 ას. | 12 ნახ. მილ. | და 35 მილ. |
| გირ. სტერლინგი. . . | 1.200 ათ. | 10 მილიონი | „ 32 მილ. |
| შვეიც. კრონ . . . . | 52 ათ. | 61 ათ. | „ 191 ათ. |

უნდა აღინიშნოს, რომ ოფიციალური კურსი არ ჩამორჩება თავისუფალ კურსს. ამას უნდა დაუმატოთ, რომ ამ ცხრილში დახატული სურათი არ არის მთლიანი. ადგილობრივ პრესაში უკვე აღნიშნული იყო, რომ სექტემბრის ბოლოს ვალიუტის კურსმა მოსკოვში სწრაფად დაიწყო ზრდა და მიაღწია ა. წ. 22 სექტემბერს 41 მილ. მანეთს, ამ ჟამად კი ჩვენ მიერ მიღებულ ცნობების თანახმად ის აღწევს 50 მილიონს.

დამახასიათებელია შემდეგი ცნობა იმის შესახებ, რომ ათ მანეთიანის ფასი მოსკოვში გაიზარდა 41 მილიონამდე, მოთავსებულია იმავე გაზეთის იმავე ნომერში, სადაც ჩვენი „ფინანსისტი'' გვატყობინებდა, რომ „შესაძლებელი შეიქნა რუსეთის მანეთის მერყეობის შეჩერება" სამუდამოდ.

წერილის საბრალმდებლოს ნაწილზე გადახვლისას ჩვენ უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენ „ფინანსისტის" თავში თავსდება სრულიად საწინააღმდეგო აზრები. აქამდე ის ხოტბას ასხამდა რუსეთის ფულის ნიშნის სტაბილურ თვისებას, ხოლო წერილის ბოლოში კი ის მოულოდნელად აცხადებს, რომ „საბჭოთა ნიშნებმა საქართველოში კრიზისი განიცადა" და ამაში სავსებით ბრალს სდებს საქართველოს ფინანსთა სახ. კომისარიატს. რა არის ეს — ბოროტსურვილი, თუ მოუფიქრებლობა.

ვინ არ იცის ის, რომ ერთი და იგივე ვალიუტა არ შეიძლება ერთ და იმავე დროს ერთ ალაგზე ურყევად დარჩეს, და მეორეზე კი კრახი განიცადოს. თუ გერმანიის მარკის კურსი ეცემა, ყველგან გერმანიაშიც და საბჭოთა რუსეთშიც, ჩრდილოეთშიც და სამხრეთშიც. თუ დოლარის ფასი მტკიცეა, ის მტკიცეა აგრეთვე ყველგან ასევე უნდა ითქვას რუსეთის ნიშნის შესახებაც. თუ ის სტაბილურია მოსკოვში, ასეთივე დარჩება ის ყველგან. უკიდურეს შემთხვევაში ლაპარაკი იქნება რა ბირჟის ნიუანსებისა და არა კრახის შესახებ თქვენ საგონებელში გაგდებთ არსებული განსხვავება, მისსა რუსეთის ნიშნებს და ქართულ ნიშნებს შორის მაგრამ ეს განსხვავება უღალადებს მხოლოდ იმას, რომ ქართული ნიშანი ეცემოდა უფრო ნელა ვიდრე რუსეთის გათავდა და მორჩა. რუსეთის ფულის ნიშნების სყიდვითი ძალა აქ და მოსკოვში **საერთოდ** ერთნაირია, და სხვანაირად არც შეიძლება. რუსეთის ნიშნების 100 მილიონით აქ შეიძლება ყიდვა იმდენივე, რამდენისაც მოსკოვში, სად არის აქ კრახი. „რუსეთის მანეთზე თავისუფალი კურსის გამოცხადება ნიშნავდა საბჭოთა მანეთის მიღებაზე სრული უარის განცხადებას. რუსეთის მანეთს ბოიკოტი გამოეცხადა, ის გამოვიდა ხმარებიდან".

ნება მიბოძეთ შევნიშნოთ, რომ თავისუფალ კურსსა და ბოიკოტს შორის დიდი განსხვავებაა. ოსმალური ლირის გადასახად ერთეულად ხმარება სახელმწიფოს შიგნით მართლაც აღკრძალულია, ჩვენ ძალიან ვცდილობთ მისი კურსი დაბალ წერტილზე დავიყვანოთ, მაგრამ როგორც თქვენ ბრძანებთ მას ყველა იღებს ჩვენი სურვილის წინააღმდეგ და მას ზრდის ტენდენცია აქვს. რუსეთის ფულის ნიშანი არამც თუ აკრძალულია და ბოიკოტი აქვს გამოცხადებული, არამედ ფინანსთა სახ. კომისარიატის უკანასკნელი დეკრეტის თანახმად მისი მიღება სავალდებულოა, და მაგრამ მას მაინც ყველა გაურბის. რატომ. იმიტომ, რომ შეუძლებელია მისი გამოყენება იმ აურებელი რაოდენობისა გამო, რომელიც აქ მოიპოვება. მოგვეცით ეს საშუალება და საკითხი სრულიად უბრალოდ გადაწყდება. ხოლო საქართველოს სახ. კომისართა საბჭოსთვის და ამიერკავკასიის რკინის გზების სამმართველოსათვის ბრალის დადება რუსეთის ფულის ნიშნების ბოიკოტში კი, მეტი რომ არა ვთქვათ, მეტის-მეტი უაზრობაა.

**არაფინანსისტი.**

## პროფესორი ალექსანდრე ანტონის-ძე ცაგარელი

(მისი 50 წლის იუბილის გამო.

წრეულს შესრულდა 60 წელიწადი, რაც საზოგადო სამწერლო, ხოლო 50 წელი, რაც საპროფესორო სამეცნიერო ასპარეზზე გამოვიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამსახურებული პროფესორი ალექსანდრე ანტონის ძე ცაგარელი.

ალექსანდრე ცაგარელი დაიბადა 1844 წ. ქართლის სოფელ კასპში, სადაც მამა მისი ანტონი მღვდლად მსახურობდა. პაპა მისი თომა (კვალად მღვდელი) ქუთაისიდან გადმოსულა მეფე სოლომონ მეორესთან ერთად, როდესაც უკანასკნელი მოტყუებით იმერეთის ტახტს მოაშორეს. სოლომონის გაპარვის შემდეგ მღვდელმა თომამ აღარ ისურვა, თუ აღარ ასურვებინეს, ქუთაისს დაბრუნება და ქართლში დასახლდა.

სწავლა ცაგარელმა თბილისის სასულიერო სასწავლებელსა და სემინარიაში მიიღო, რომლის დამთავრების შემდგომ, ახალ ენებში გასავარჯიშებლად, თბილისის პირველი გიმნაზიის უკანასკნელ კლასში შევიდა, ხოლო ერთი წლის შემდგომ (1866 წ.) პეტრეს ქალაქის უნივერსიტეტის ფილოლოგიურ ფაკულტეტზე; 1867 წლის დამლევს გაემგზავრა მიუნხენს, სადაც იმავე საგნებს სწავლობდა, ისმენდა ლექციებს აგრეთვე ვენის უნივერსიტეტში აღმოსავლეთ ენებსა და არქეოლოგიაში.

რუსეთში დაბრუნებისას (1871 წ.), სახელმწიფო გამოცდების ჩაბარების შემდგომ, პროფ. ჩუბინაშვილის წინადადებით დატოვებულ იქნა აღმოსავლეთ ფაკულტეტზე საპროფესოროდ მოსამზადებლად, ხოლო 1872 წლის აპრილში უკვე დამტკიცებულ იქნა პრივატდოცენტად.

წერა ალექსანდრემ ჯერ კიდევ მოწაფეობაში დაიწყო. ამ დროისაა მისი „ცხოვრება წმ. გიორგი კაპადოკიელისა'', ,,შექსპირის ტრაგედიების გარჩევა'', ,,გიორგი ერისთავის თხზულებათა განხილვა'', (იბეჭდებოდა ჟურნალ ცისკარში). ამავე დროს ეკუთვნის მისი საგულისხმო მოთხრობა მუშათა ცხოვრებიდან. ,,ასასი (ღამის გუშაგი) ბედკრულაძე'', ჟურნალ დროებაში. ,,დროებაშივეა'' მოთავსებული მთელი რიგი კრიტიკულ წერილებისა მე-19 საუკუნის ქართული მწერლობის შესახებ ის. „ჩვენი უბედური მწიგნობრობა მე-19 საუკუნეში. წერილები მიუნხენიდან: აქ განხილულია თხზულებანი ალ. ჭავჭავაძის, ნიკ. ბარათაშვილის, გიორგი ერისთავის, ილ. ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლისა და სხვ.

მაგრამ ალექსანდრე ცაგარლის ნამდვილი სამეცნიერო მოღვაწეობა 1872 წლიდან იწყება, როდესაც იგი, როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, უნივერსიტეტის პრივატ დოცენტად იქნა არჩეული და ამით, ასე ვთქვათ, სამეცნიერო მუშაობის ფერხულში ჩაება.

მრავალმხრივია, ფასდაუდებელია ამ ხნიდან დაუცხრომელი, ხანდაუზმელი შრომა პროფესორ ცაგარლისა ქართული ენის, სიტყვიერების, საქართველოს სამოქალაქო და საეკლესიო ისტორიისა და სიძველეთა ძიების საქმეში.

ქართული ენის მკვლევართა შორის პროფ. ცაგარელი პირველი იყო, რომელმაც ამ ენის ბუნებისა და თვისების საკითხი ნამდვილ სამეცნიერო ნიადაგზე დააყენა:

მან მტკიცედ გაილაშქრა ქართული ენის იმ მაძიებელთა წინააღმდეგ, რომელთაც ამ ენის თითქმის არაფერი იცოდნენ და მას მხოლოდ გზა და გზა და სხვათა შორის იკვლევდნენ და ამის გამო ხან ენათა ერთ ოჯახს მიაკუთნებდნენ ხოლმე და ხან მეორეს დაუნათესავებდნენ.

საზოგადო და შედარებით ენათმეცნიერებაში ევროპიულად განათლებულმა პროფ. ცაგარელმა ყველა თავის წინამორბედ მკვლევართა შრომებების საფუძვლიანად გარჩევის შემდგომ (იხ. მისი **О грамматической литературе грузинскаго языка, Петерб. 1873 г.**) შეურყევლად განაცხადა: სანამ ქართულ ენას სავა რომელსამე ენას შევადარებდეთ და მისი ნათესაობის საკითხს დავსვამდეთ, საჭიროა თვით შესადარებელ ენათა ამ შემთხვევაში ქართულის) საფუძვლიანად შესწავლა და განსაკუთრებით კი მის ძმურად მონათესავე ზეპირ ენებისა (პატუა) მეგრულ-ჭანურისა და სვანურის გამოკვლევა, რომელთაც მწერლობის გავლენა არ განუცდიათ და ამის გამო უფრო მტკიცეთ დაუცავთ ძველი ფორმები.

პროფესორ ცაგარელს მარტო თეორიულად არ წამოუყენებია ეს საკითხი:

თვითვე პირველი იყო მისი პრაქტიკულად განხაზირებული „**Мингрельские этюды**" ორ წიგნად გამოსული (ტექსტი და ფონეტიკა) ნამდვილი ეპოქაა ქართულ ენათ მეცნიერების ისტორიაში და, რაც უფრო საგულისხმიეროა, შემდეგ მკვლევართა (პროფ. მარი, ყიფშიძე) შრომანი მხოლოდ გაგრძელებაა იმისა, რაც ცაგარელმა ჯერ კიდევ ნახევარი საუკუნის წინეთ თქვა და რაიც თვით მარის მიერ სათანადოთაა აღნიშნული.

ქართული სიტყვიერების ძიებაში პროფ. ცაგარელმა იმ თავითვე გაითვალისწინა ის განსაკუთრებული პირობები, რომელშიაც მას მოუხდებოდა მუშაობა: მაშინ, როდესაც უცხო ენის სიტყვიერების ამმწერელს მთელ რიგ მუშაკთა მიერ აღნუსხულ, კრიტიკულად გამოცემულ მასალასთან ჰქონდა საქმე, ქართული სიტყვის გამომძიებელი იძულებული იყო თავად შეესრულებინა სიტყვას ისტორიისათვის საჭირო წინასაფეხურების სამუშაო: თავად უნდა აღმოეჩინა ხელნაწერთა ადგილსამყოფელი, აღენუსხა იგინი, შეესწავლა თვითოეული სათანადოდ და მხოლოდ ამის შემდგომ დაეწყო ერის გონებრივ ნასიბრძნის სისტემატიზაცია, ერის სიტყვის თანდათანი განვითარების გათვალისწინება.

და ამ შემთხვევაშიაც პროფ. ცაგარელმა სწორი მეცნიერული გზა აირჩია: იგი უწინარეს ყოვლისა შეუდგა იმ ხელნაწერების შესწავლას, რომელიც მრავლად დაცულია როგორც საქართველოში, ისე საქართველოს გარეთ წიგნთსაცავებისა და მუზეუმებში **და თავის დროისთვის** პირნათლადაც შესრულა ეს მეტად ძნელი და პასუხსაგები საქმე.

ამ მხრივ მისი სამ წიგნად გამოსული **Сведения о памятниках грузинской письменности**" დღესაც ის წყაროა, რომელსაც ქართული სიტყვის ისტორიკოსი ვერას გზით გვერდს ვერ აუვლის, ვინაიდან, მიუხედავად იმისა, რომ ამ შრომის პირველი ნაწილის გამოქვეყნების შემდგომ თითქმის ოთხი ათეული წელი გავიდა, ძველი ქართული სიტყვის ძიებაში მაინც და მაინც წინ არ წავსულვართ და აღსანიშნავია, რომ ქართულ სიტყვიერების სახელმძღვანელოებში მიღებული სისტემა, მწერლობის პერიოდები: მოსამზადებელი ხანა, ოქროს ხანა, დაცემის ეპოქა, აღორძინება, მთავარ მიმართულებათა აღნუსხვა იმ გვარივე დარჩა, როგორც ეს პროფ. ცაგარელმა პირველად აღნიშნა და დაასაბუთა.

რაც შეეხება საქართველოს ისტორიას, ამ მხრივ ხომ ყველასათვის ცხადი უნდა იყოს, რომ ჩვენი ქვეყნის მე-18 ე საუკუნის მეტად დახლართულ პოლიტიკურ მდგომარეობას ნაწილობრივადაც ვერ გავარკვევდით, რომ არ გვქონდეს პროფ. ცაგარლის მიერ კრიტიკულად დამუშავებული და გამოცემული საბუთები, როგორიცაა „**Грамоты и другие исторические документы 18 века, относящиеся Грузии**", **Сношение России с Кавказом**" და სხვ.

პროფესორი ცაგარელი ქართულ არქეოლოგიას და ნუმიზმატიკასაც არ სტოვებდა უყურადღებოთ," ამ მხრივ საგულისხმოა მისი: „**Грузинские памятники, на св. земле и на Сенае". Грузинские манеты, чеканившиеся в г. Тифкисе с 1801 по 1830 г.**".

ამგვარია მოკლედ მისი სამეცნიერო მოღვაწეობა, მაგრამ მარტო ამით არ განისაზღვრება პროფესორის მუშაობა: მე 19—20 საუკუნეთა ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ მდგომარეობით გამოწვეულ მწვავე საკითხებშიაც ღებულობდა იგი მხურვალე მონაწილეობას და თავისი ცოდნითა და გამოცდილებით სათანადო წვლილი შექონდა საქმის შესაფერად გადაჭრისათვის (საკითხი საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის შესახებ).

ამ ხნის განმავლობაში პროფესორი აქტიურ მონაწილეობას იღებდა აგრეთვე—ორიანტალისტებისა და არქეოლოგების თითქმის ყველა კონგრესში: ყ. რუსეთის იმპერიის გარდა ევროპის სახელმწიფოებში: ნორვეგიაში, შვეციაში, საფრანგეთსა და იტალიაში.

იყო წევრად მრავალ სამეცნიერო საზოგადოებათა, როგორიცაა რუსეთის საისტორიო, საგეოგრაფიო, საარქეოლოგიო, პალესტინის და სხვა, აგრეთვე პირველად მისი ინიციატივით დაარსებულის ქართველ სტუდენტთა დამხმარე საზოგადოების თავმჯდომარედ—პეტრეს ქალაქში.

პროფესორს, მიუხედავად თავისი მხცოვანობისა დღესაც არ დაუგდია კალამი და სწორედ ამას წინეთ გამოაქვეყნა თავისი დიდი შრომის ერთი თავი „**Непререкаемыя права Грузии на признание ея независимости и на восстановление Государственных границ**".

ერთი სიტყვით, როგორც ზევით მოვიხსენიეთ, მრავალმხრივი და იშვიათად ნაყოფიერია ძვირფასი პროფესორის ექვსი ათეული წლის სივრცეზე განუწყვეტელი მუშაობა, რასაც ნათლად ჰყოფს ქვემოყვანილი მშრალი ნუსხაც მის შრომათა.

**1862 წლ.**

1. „ცხოვრება და მოქალაქეობა წმ. გიორგი კაპადოკიელისა".

**1863 წლ.—7 წლ.**

2. „კრიტიკული წერილები (ჟურ. ცისკარში) „შექსპირის ტრაგედიების გარჩევა".
3. გიორგი ერისთავის თხზულებათა განხილვა.
4. „ასასი ბედკრულაძე" მოთხრობა მუშათა (ღამის დარაჯთა) ცხოვრებიდან. „დროება" გ. წერეთლის რედაქ.
5. „ჩვენი უბედური მწიგნობრობა მე-19 საუკუნეში" (ის. დროება).

**1869 წლ.**

6. **Амазонки на Северном Кавказе** ეტიუდი ქალების ემანსიპაციის შესახებ (იხ. „Кавказ" წერილი მიუნხენიდან).

1871 г.

7. Амазонки в истории и поэзии".

1872 г.

8. **Сравнительный образ морфологии Иверской группы Кавкавских языков СПБ.**
9. **О предполагаемом родстве грузинского языка с Индо-Европейски и Турецким языками. СПБ.**

1873 г.

10. **О грамматической литературе грузинского языка. Критический очерк. СПБ.**

1877 г.

11. **Из поездки в Закавказский край летом 1877 года.**

1878 г.

12. К географии Мингрелии.
13. „Книга мудроеть лжи Савви Сулхана Орбелиани. გამოცემული ფრანგულად ც.

1880 г.

14. Два исследователя Кавказских языков.
15. Мингрельские этюды в 1. Мингрельские тексты с переводом и об'яснениями. გამოცემა ტექსტისა ფრანგულად და რუსულად.
16. Мингрельские этюди в 2. Опыт фонетики Мингрельского языка.

1881 г.

17. Eine Georgische Juschrift. ტექსტი, თარგმანი და განმარტებანი.
18. Краткая грамматика грузинского языка, составленная З. Шаншовани.
19. Новые архивные материалы для истории Грузии 18 в. შეიცავს ცნობებს იმ ხელნაწერთა შესახებ, რომელიც დაცულია საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივში (მოსკოვში).

1883 г.

20. Находки на Синае.
21. Грузинские памятники в СВ. Земле и на Синае (отчет Православ. Палест. Общества).
22. Преосвященный Порфирий о Груз. древностях ЗВО. в 1.

1886 г.

23. Сведения о памятниках Грузин. письменности в 1.

1888 г.

24. Грузинские памятники на св. Земле и на Синае со снимками папирусных рукописей и фресок с каталогами Иерусалимских и Синайских рукописей

1889 г.

25. Сведения о памятниках Гр писяменности. в Ц.

1891 г.

26. Грамоты и другие документы, относящиеся к Грузии т 1.
27. Сношение России с Кавказом.
28. Грузинские монеты, чеканившиеся в Тифлисе в 1801 г. по 1880 г.

1892 г.

29. Сведения о памятниках Гр. письменности в Ш

1898 г.

30. Грамоты и другие исторические документы, т. П в 1.

1901 г.

31. **Новые материалы для жизнеописания и деятельности С. Д. Буркашева, бывшего в Грузии Комиссаром с 1783 г. по 1787 г**

**1902 г.**

32. **Грамоты и другие исторические документы т. II в. II**

**სხვა და სხვა დროს.**

33. მრავალი წერილი საქართველოს შესახებ სხვა და სხვა სამეცნიერო გამოცემებში.

(Энцикл. словарь и пр.

1912 г.

34. статьии и заметки по груз. церковному вопросу. К. столетию вжовства Груз. церкви.

1919 г.

35. **Историко - географический обзор Ахалцихской области Самце-Сатабаго.**
36. **Непререкаемыя права грузии на признание ея пазависимости и на востановление ея государственных границ Тифл: 1919 г.**

რუსეთის რევოლიუციის შემდგომ, როდესაც ქართული ენით მეცნიერებისა, სიტყვიერების და ისტორიის შესწავლის ცენტრი ბუნებრივად თბილისში მოექცა, პროფესორი ახლად დაარსებულ ჩვენ სახელმწიფო უნივერსიტეტში გადმოვიდა და დღეს აქ კითხულობს ლექციებს.

უნივერსიტეტი და პროფესორის მადლიერი მოწაფეები ამ დღეებში უმართავენ ძვირფას მასწავლებელს იუბილეს და იმედია, მთავრობაც არ უგულებელყოფს იუბილიარის ნახევარ საუკუნეზე მეტ დაუცხრომელ მოღვაწეობას და შესაფერისადაც დააჯილდოვებს მას.

**ვუკ ბერიძე.**

# ხალხთა-ღელვები

## ახლო აღმოსავლეთის ამბები

### კონფერენცია მუდანიაში.

**მოსკოვი.** 7 ოქტ. ინგლისის და საფრანგეთის არმიების შტაბებმა გამოუშვეს ოფიციალური ცნობა მუდანიის კონფერენციის პირველი დღის დამაკმაყოფილებლად ჩატარების შესახებ.

— მუდანიაში ხელმოწერილია წინასწარი ხელშეკრულება, რომლის ძალით ბერძნების მიერ ფრაკიის და ადრიანოპოლის ევაკუაცია უნდა მოხდეს 9 დღის განმავლობაში.

### ქემალისტები და კონსტანტინოპოლი.

**მოსკოვი.** 7 ოქტ. ქემალისტები თანახმა არიან დასტოვონ კონსტანტინოპოლი მოლაპარაკების დამთავრებამდე მოკავშირეების ხელში, იმ პირობით, თუ იქ დაწესებული იქნება ოსმალური სამოქალაქო ადმინისტრაცია.

### ვენიზელოსის გეგმა.

**რომი.** 6 ოქტ. იტალიის პრესა მსჯელობს ვენიზელოსის გეგმის შესახებ, რომელიც მან გამოაქვეყნა გაზეთ „ტაიმსის" რედაქციისადმი წერილში. ვენიზელოსი გამოსთქვამს სურვილს, რათა ფრაკიაში დარჩეს ბერძნების ადმინისტრაცია მოკავშირეთა იმ ჯარების კონტროლის ქვეშ, რომელთაც ამ ჟამად ნეიტრალური ზონა უჭირავთ.

ვენიზელოსის ასეთ თვალსაზრისს ოპოზიციაში უდგას ინგლისის პრესა, რომლის აზრით, ეს გამოიწვევს ახლო აღმოსავლეთის საკითხის გართულებას.

**ნაუენი.** 7 ოქტომბერი. მუდანიის კონფერენციამ დროებით შეაჩერა თავისი მუშაობა. უძნელესი საკითხები ჯერ კიდევ არ გადაუჭრიათ. ზოგიერთი ცნობების მიხედვით, საბერძნეთის დელეგატები წინააღმდეგი არიან ხელი მოაწერონ მუდანიაში მიღწეულ შეთანხმებაზე დროებითი ზავის შესახებ, აგრეთვე უარს ამბობენ ფრაკიის ევაკუაციაზე, დიდ საზავო კონფერენციის საბოლოო გადაწყვეტილებამდე. მეორე მხრივ ოსმალები არ ადგანან იხეთ მორიგებით პოზიციას, რომელსაც მოელოდნენ ბრანკლენ ბუიონის განცხადების მიხედვით.

### მოულოდნელი გადახრა.

**ნაუენი.** 7 ოქტომბერი. მოულოდნელი გადახრა მუდანიის მოლაპარაკებაში იწვევს მღელვარებას ლონდონის წრეებში და გაუგებრობას პარიზში, სადაც მთელს პასუხისმგებლობას აწერენ ინგლისელების ჟინიანობას.

### ჩანაკახთან.

**ნაუენი.** 7 ოქტომბერი. ლონდონის პრესის ცნობებით, ოსმალეთის ჯარები თავს იყრიან ჩანაკას მახლობლად და კვლავ შედიან ნეიტრალურ ზონაში, სადაც დაბანაკებული არიან ინგლისის ჯარები.

### ანგორის პასუხი.

**ნაუენი.** 7 ოქტომბერი. ანგორის მთავრობამ გადასცა მოკავშირეებს პასუხი კოლექტიურ ნოტაზე 23 სექტემბრის თარიღით. პასუხში ანგორა დაჟინებით მოითხოვს, რათა საზავო კონფერენციაზე სმირნაში მიიწვიონ რუსეთი, საქართველო და უკრაინა. „ტაიმსი" ილაშქრებს ანგორის მოთხოვნილების წინააღმდეგ.

### ოსმალეთის წინსვლა.

**ჰანოვერი.** 7 ოქტომბ. ლონდონის ცნობების თანახმად, ოსმალეთის ჯარები განაგრძობენ წინსვლას ჩანაკასა და სტამბოლისაკენ, სადაც ისინი უკვე უახლოვდებიან ბრიტანეთის ჯარებს. თავის მხრით ინგლისის ახალი ძალები უკვე მიდიან დანიშნულ ადგილზე.

### ქემალ-ფაშის სიტყვა დიდ ეროვნულ კრებაზე.

**კროიდონი.** 7 ოქტ. სტამბოლიდან მიღებულ ცნობების თანახმად, ქემალ-ფაშამ წარმოსთქვა სიტყვა ოსმალეთის დიდ ეროვნულ კრებაზე, რომელშიდაც აღნიშნა, რომ ოსმალეთმა დაიწყო შეტევა ბერძნების წინააღმდეგ იმისთვის, რომ მთავრობის ღონისძიებანი ნაციონალური მისწრაფების უსისხლოთ განხორციელებისათვის ჩაითვალეს ოსმალეთის სისუსტედ. შემდეგ ქემალ-ფაშამ სთქვა: „ჩვენი შეტევა კარგად იყო გათვალისწინებული და დამთავრდა სრული გამარჯვებით. ჩვენ დიდად ავამაღლეთ ჩვენი პრესტიჟი მთელ მსოფლიოში და ეჭვს გარეშეა, რომ მივაღწევთ ხელსაყრელ ზავს. იმ მომენტში, როცა ჩვენი ჯარები მზად არიან გადალახონ დარდანელი და დაიკავონ სტამბოლი და ფრაკია, გააძევონ რა ჩვენი სახელმწიფოს ტერიტორიიდან მტერი, მოკავშირე სახელმწიფოების წინადადება, რომელიც გვეცნობა ჩვენ, შესაძლებელია ხელი შეგვიშალოს უომრად მივაღწიოთ ჩვენს მიზანს, თუ მტერი გაძევებულ იქნება.

### ხავს ეკიდებიან.

**პარიზი.** 7 ოქტ. ფრაკიიდან დაკარგვით აღშფოთებულნი, საბერძნეთის გაზეთები მიმართავენ დახმარების თხოვნით ამერიკას.

### თათბირი.

**ბორდო,** 7 ოქტ. სტამბოლიდან მიღებულ ცნობით იქ შედგება ყველა უმაღლეს კომისრების და გენერლების თათბირი ნეიტრალურ ზონის და აღმოსავლეთ ფრაკიის საკითხების შესახებ.

### ჩანაკახთან

**ნაუენი.** 7 ოქტომბერი. ოსმალეთის ქვეითა ჯარს, რომელიც თავს იყრის ჩანაკის ახლო, მისდევს არტილერია. ინგლისის დასაცავი ხაზები გამაგრებული და გაძლიერებულია ახალი ძალებით.

## წითელი რესპუბლიკები

### რუსეთი

### ინგლისის კაპიტალისტ ურხარტთან ხელშეკრულება.

**მოსკოვი.** 7 ოქტ. სახალხო კომისართა საბჭომ უარყო კრასინის წინასწარი ხელშეკრულება ინგლისის კაპიტალისტ ურხარტთან, ვინაიდან კონცესსიის მოცულობა მოითხოვს რუსეთსა და ინგლისს შორის მეგობრულ ურთიერთობას, ინგლისის მოქმედება კი უკანასკნელ დროში, რომელიც ახდენს რუსეთის იზოლიაციას ახლო აღმოსავლეთის საკითხების განხილვის დროს, გვიჩვენებს რომ ასეთ ურთიერთობას ადგილი არ აქვს.

### ბრძოლა მექრთამეობასთან.

**მოსკოვი.** 7 ოქტ. ყველა სახალხო კომისარიატებში მოწყობილია კომისიები მექრთამეობის წინააღმდეგ საბრძოლველად.

### შრომის კანონების დარღვევა.

**მოსკოვი.** 7 ოქტ. შრომის კომისარიატმა მიმართა იუსტიციის სახ. კომისარიატს თხოვნით, რათა უკანასკნელმა წინადადება მისცეს სახალხო სასამართლოებს ერთი კვირის განმავლობაში გაარჩიონ საქმეები შრომის კანონების დარღვევის შესახებ.

### დონეცის გუბერნიაში.

**მოსკოვი.** 7 ოქტ. დონეცის გუბერნიაში ითვლება 300.000 დამშეული.

### პურის გადაგზავნა.

**მოსკოვი.** 6 ოქტ. სასურსათო კომისარიატის ცნობით 26 სექტ. გადაგზავნილია 17 მილიონი ფუთი პური. დანიშნულ ადგილას ჩავიდა თორმეტი მილიონი ფუთი. გზაში იმყოფება ხუთი მილ.

### სამთო-მადნო წარმოებათა მუშების ყრილობა.

**მოსკოვი.** 7 ოქტომბერი. გაიხსნა სამთო მადნო წარმოებათა მუშების საოლქო ყრილობა. თავის პირველ რეზოლიუციაში ყრილობამ აღიარა საბჭოთა მთავრობის პოლიტიკის სისწორე.

### დაბრუნებული გემები.

**მოსკოვი.** 6 ოქტომბერი. კრონშტადში გელსინგფორსიდან მოვიდა გემების მეორე ჯგუფი, რომელიც საბჭოთა რუსეთს დაუბრუნეს საზავო ხელშეკრულების თანახმად.

### საჩუქარი მუშებს.

**მოსკოვი.** 6 ოქტომბერი. მუშათა შორის დაარსებულმა დამშეულთა დამხმარე კომიტეტმა გაუგზავნა საჩუქარი პეტროგრადის საბავშო სახლებს.

### შაქრის ქარხნები.

**მოსკოვი.** 6 ოქტომბერი. დაიწყო მუშაობა უკრაინის მთელ მარჯვენა ნაპირის შაქრის ქარხნებში. მიუხედავად განუწყვეტელი წვიმებისა ჭარხლის მიწოდება ქარხნებისათვის არ შეწყვეტილა.

### განახლებული ეკლესია.

**მოსკოვი** 6 ოქტომბერი. „ჟივაია ცერკოვი"-ს ხარკოვის ჯგუფმა მიმართა თხოვნით რომის პაპს და აღმოსავლეთის კათალიკოსებს, გამოუშვან მოწოდება ევროპის ყველა სახელმწიფოებისადმი ომის წინააღმდეგ, რომელიც ემუქრება მთელი ქვეყნის მშრომელებს განუზომელი უბედურებით.

### რევოლიუციონური ახალგაზრდობა.

**მოსკოვი.** 6 ოქტ. ხარკოვში, მშრომელი ახალგაზრდობის საერთო საქალაქო კონფერენციაზე, უნგრეთის ახალგაზრდობის კავშირის მდივანმა ვაინბერგმა აღნიშნა ევროპაში ახალგაზრდობის რევოლიუციონური მოძრაობის გაძლიერება. ,,ევროპის ახალგაზრდა მუშები, აღნიშნა მან, მზად არიან რევოლიუციისათვის''

### მუშების შემცირება.

**მოსკოვი.** 6 ოქტ. სათბობი მასალის სიმცირის და საბრუნავი საშვალების უქონლობის გამო, ეკატერინოსლავის ლითონის ქარხნებში სწარმოებს მუშების რიცხვის შემცირება.

## ანტანტა და გერმანია

### საკონტრიბუციო კომისიაში.

**ბორდო.** 6 სექტ. ბარტუ დაინიშნა საფრანგეთის წარმომადგენლად საკონტრიბუციო კომისიაში; მისი მოადგილედ იუსტიციის მინისტრის თანამდებობაზე დაინიშნა კოლზა, სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის უმცროსი მდივანი.

### მემელის ბედი.

**ნაუენი.** 6 ოქტომბერი. ელჩების კონფერენციამ შეუდგა მემელის ბედის საკითხის განხილვას. სტოკჰოლმის გაზ. „სტაგებლატი" ამბობს, რომ ამ რაიონს აქვს გერმანული ხასიათი და გაზეთის აზრით, სხვა გვარი გადაწყვეტილება, თუ არა მემელის გერმანიისათვის დაბრუნება, ამოუშრობელ ქაოსს შექმნის ამ პროვინციაში.

### რელიკვიების საჯარო გაყიდვის ვადის გადადება.

**ჰანოვერი.** 6 ოქტომბერი. გოეტეს რელიკვიების გაყიდვა რომელიც დანიშნული იყო 28 ოქტომბერს გადადებულია. რელიკვიების შორის არის „ფაუსტის" ცნობილი გამოცემა.

## სხვა და სხვა ამბები

### ინგლისი

### ინგლისის მემაღაროები

**კროიდონი.** 6 სექტ. ინგლისის მემაღაროეთა მოთხოვნილებანი, ხელფასის შესახებ, რომელნიც შეტანილი იყვნენ ნახშირის მრეწველობის ნაციონალურ საბჭოში განსახილველად, არ იქნენ მიღებული მესაკუთრეების მიერ, რის გამო მემაღაროეთა ფედერაციამ დაადგინა მიმართოს პრემიერს თხოვნით, რათა მან მიიღოს ფედერაცია, რომელიც აუხსნის მთავრობას მემაღაროეთა და ნახშირის მრეწველობის მდგომარეობას.

### ირლანდია

**რომი,** 6 სექტ. ინგლისის გაზეთების ცნობით, მთავრობის ჯარების ირლანდიის აჯანყებულებთან უკანასკნელ შეტაკების დროს უკანასკნელებმა დაკარგეს 41 კაცი, ამის გარდა 57 კაცი ტყვედ იქნა წაყვანილი.

### იტალია.

### პარლამენტების კონფერენცია

**რომი,** 6 სექტ. ვენეციაში შესდგა საერთაშორისო საპარლამენტო კონფერენციის პლენარული სხდომა.

### იტალია პოლონეთის კომერციული ხელშეკრულება.

**რომი,** 6 ოქტ. პოლონეთის სავაჭრო დელეგაციის მრჩეველმა რომში გვაცნობა იტალია და პოლონეთ შორის დადებულ სავაჭრო ხელშეკრულების ძალაში შესვლის შესახებ.

### სპეციაში.

**რომი,** 6 ოქტ. სპეციაში მსხვერპლთა დაკრძალვა დიდი ზეიმით მოხდა. პროცესიაში მონაწილეობას იღებდნენ სამოქალაქო და სამხედრო ხელისუფლების წარმომადგენელნი და აურაცხელი ხალხი. წარმოთქმული იქნა სიტყვები ქალაქის თვითმართველობის წევრების მიერ.

### რუმინია

### რუმინიის პარლამენტი.

**ნაუენი,** 6 ოქტ. რუმინიის პარლამენტის სასწრაფო სესია გაიხსნება 12 ოქტომბერს.

# სასურსათო გადასახადის კამპანია

## სულ რამდენია აკრეფილი ოქტომბრის 7-სთვის?

სახალხო სასურსათო კომისარიატის ოფიციალურ დოკუმენტალურ ცნობით აღმოსავლეთ საქართველოში, სადაც წრევანდელ სასურსათო გადასახადის შეგროვება სწარმოებს, ოქტომბრის 7-თვის ხორბლეულის ერთეულით აკრეფილია 302.,485 ფუთი, ანუ 68,1 პროცენტი აღმოსავლეთ საქართველოს ყველა 10 მაზრაზე შეწერილ გადასახადისა.

## საგადასახადო მუშაობას სიცხოველე ეტყობა.

უკანასკნელ კვირაში, როგორც სახალხო სასურსათო კომისარიატს ატყობინებენ ადგილებიდან, აღმოსავლეთ საქართველოს ყველა მაზრაში განსაკუთრებული სიცხოველე დაეტყო საგადასახადო მუშაობას. ყველგან ისეთის სისწრაფით გროვდება სასურსათო გადასახადი, რომ ძნელია იმის თქმა, თუ რომელს მაზრაში უფრო ადრე დამთავრდება გადასახადის აკრება. აღსანიშნავია ბორჩალოს მაზრა, სადაც დღემდე ყველაზე ნაკლები პროცენტი იყო შეკრებილი და სადაც გადასახადის შეგროვება სულ ორი კვირაა რაც დაიწყო. დღეს ამ მაზრაში საგადასახადო მუშაობას დამკვრელი ხასიათი აქვს და უკანასკნელ ცნობების მიხედვით რამდენისამე დღის განმავლობაში ბევრს რაიონში უკვე აკრებილია თითქმის მეხუთედი შეწერილ გადასახადისა.

## აკრება დასავლეთ საქართველოშიც დაიწყო.

სახალხო სასურსათო კომისარიატის მიერ მიღებულ ცნობით ოქტომბრის 5-ს თარიღით წრევანდელ სასურსათო გადასახადის შეგროვება დასავლეთ საქართველოშიც დაიწყო.

## კამპანიის მსვლელობა

**ბორჩალოს მაზრა.** როგორც სამაზრო სასურსათო კომისარი ატყობინებს სახალხო სასურსათო კომისარიატს, ბაშქიჩეთისა და ლიუქსემბურგის რაიონებში უკვე აკრებილია შეწერილ გადასახადის 80 პროცენტი. წინასწარ ვარაუდით გადასახადის შეგროვება ოქტომბრის 15-სთვის დასრულდება. ყველა სასურსათო მუშაკები გაგზავნილნი არიან ქვემო ბორჩალოში, სადაც გადასახადის აკრება წარმატებით მიმდინარეობს.

**ლეჩხუმის მაზრა.** წრევანდელ სასურსათო გადასახადის შეგროვება დაიწყო. ჯერჯერობით შემოვიდა 72 ფუთი ხორბალი და 6 ფუთი სიმინდი.

## რა პროდუქტებია შეგროვილი აღმოსავლეთ საქართველოში.

მთელს აღმოსავლეთ საქართველოში შეგროვილი 386.451 ფუთი ხორბლეულის ერთეული შემდეგის პროდუქტებისაგან შესდგება:

**ახალქალაქის მაზრა.** შეგროვილია: ქერი—4.250 ფ., ჭვავი—2 323 ფ., ხორცი—1.884 ფ., ფულად—125.270.000 მან. და ხორბალი—3.082 ფ.

**ახალციხის მაზრა.** ხორბალი—27.888 ფ, ქერი—2.251 ფ., კორდიკა—361 ფ, კარტოფილი—1.449 ფ, ხორცი—646 ფ. და ფულად—229.700.000 მანეთი.

**ბორჩალოს მაზრა.** ხორბალი—5.087 ფ. და ქერი—60 ფ.

**გორის მაზრა.** ხორბალი—89.888 ფ. და ფულად—62.850.000 მ.

**დუშეთის მაზრა.** ხორბალი—19.495 ფ., ქერი—990 ფ., კარტოფილი—116 ფ., ლობიო—73 ფ., ერბო—40 ფ., მატყლი—490 ფ. და ხორცი—170 ფ.

**თელავის მაზრა.** ხორბალი—50.586 ფ., ქერი—1.200 ფ., სიმინდი—9.260 ფ., კარტოფილი—204 ფუთი, ლობიო—3.400 ფ. და მატყლი—5 ფ.

**თიანეთის მაზრა.** ხორბალი—7.701 ფ., ქერი—526 ფ., კარტოფილი—32 ფ., ლობიო—680 ფ. და ხორცი—140 ფ.

**სიღნაღის მაზრა.** ხორბალი—80.638 ფ, ქერი—4.781 ფ., სიმინდი—2.039 ფ., ფეტვი—429 ფ., ლობიო—6.771 ფ., მატყლი—331 ფ. და ფულად—184.295.000 მან.

**სამხრეთ-ოსეთი.** ხორბალი—15.933 ფ., ქერი—2.306 ფ., სიმინდი—11 ფ., კარტოფილი—16 ფ., ლობიო—2 ფ., ერბო—5 ფ. და მატყლი—1 ფ.

## იტალია.

### ფაშისტები.

**ნეაპოლი, 7 ოქტ.** იტალიის პრესა გადმოგვცემს ხმებს, რომლის თანახმად ფაქტას კაბინეტი გადადგომის წინაშე სდგას, იმის გამო, რომ კვლავ გართულდა საკითხი ფაშისტების შესახებ. ფაშისტები შევიდნენ ტრიესტში და აიძულეს გენერალ-გუბერნატორი კრეიდარო გადამდგარიყო. ფაშისტები ბრალს სდებენ კრეიდაროს ტიროლში გერმანელების შესვლის მომხრეობას. ფაშისტების პოზიცია, რომლებმაც მოახდინეს თავიანთი ძალების მობილიზაცია სხვა დასხვა ადგილებში და რაიონებში, იწვევს უკმაყოფილებას მთელს იტალიაში.

### ფაშისტების შეტაკებანი.

**ბორდო. 7 ოქტომბერი.** ფაშისტებმა დაიკავეს ბოლზანსი, მოხდა შეტაკება ქალაქის ხელისუფლების და ფაშისტების შორის, უკანასკნელებმა აიძულეს ადგილობრივი ხელისუფლება დაეტოვებიათ ქალაქი და გადასახლებულიყვნენ ტრიენტში. გუბერნატორმა კრედნომ ძალაუფლება გადასცა სამხედრო უწყებას საერთო წესრიგის უზრუნველსაყოფად. გენერალი ასსუპი მოუწოდებს მცხოვრებლებს პატივი სცენ კანონს.

### ტრიენტში.

**ბორდო. 7 ოქტომბერი.** წესრიგის აღდგენის გამო ტრიენტში საპოქალაქო ხელისუფლებამ კვლავ ჩაიბარა მმართველობა, რომელიც დღემდე იმყოფებოდა სამხედრო პირების ხელში.

### მდგომარეობა ათინაში.

**ნაუენი. 7 ოქტ.** მდგომარეობა ათინაში სერიოზულია, მეფე ითვლება რევოლიუციონური არმიის ტყვედ. ფრაკიის დასაცავად გაიწვიეს მრავალი მოხალისეები.

# პარტიული ცხოვრება

## თბილისის მცველ-მხლებელ ათასეულში

სექტემბრის 29-ს შესდგა თბილისის მცველ-მხლებელთა ათასეულის კომუნისტების საერთო კრება, სხდომას დაესწრო უმრავლესობა კომუნისტებისა.

დღის წესრიგში იყო შემდეგი კითხვები: 26 ბაქოელ კომისრების ხსოვნის აღნიშვნა, პარტიის გაწმენდა, კომუჯრედის კორესპოდენტის არჩევა, პოლიტიკური წრის დაარსება და მიმდინარე კითხვები.

პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა მე-2-რე რაიკომის წარმომადგენელმა ამხ. **ქორიძემ**, რომელმაც დაუსურათა კრებას დაღუპულ ამხანაგების რევოლიუციონური მოღვაწეობა, ინგლისის იმპერიალიზმის და სოციალ გამყიდველების ჯალათობა.

მეორე საკითხზე მოხსენება გააკეთა იმავე ამხ. **ქორიძემ.** კომუჯრედის სამხკორათ არჩეული იქნა ამხ. მაჩიტაძე.

დაარსდა პოლიტიკური წრე, დროებით ხელმძღვანელობა მიენდო ერთ-ერთ წევრს, ორშაბათიდან უნდა დაიწყოს მეცადინეობა, რაც ეცნობოს მე-2 რე რაიკომს, რათა გადმოგვიგზავნოს სპეცი მასწავლებელი.

მიმდინარე კითხვებზე ილაპარაკეს გარდაცვალებულ წითელ-არმიელ შ. ზაქაიძეს შესახებ, დადგენილ იქნა ეცნობოს ადმინისტრაციას, რათა პასუხი მოეთხოვოს იმ პირთ, რომელთაც მოვალეობას შეადგენდა თანახმად გაცემულ ბრძანებისა, გარდაცვალებულ წით. არმ. ჯეროვანათ დასაფლავება და ამით ერთხელ და სამუდამოთ აღმოფხვრილ იქნას უყურადღებობა წითელ-არმიელების მიმართ.

**მ. მაჩიტაძე.**

—

29 სექტემბერს შესდგა პირველ რაიონის, პირველ ნომერ იაჩეიკის კრება, რომელსაც დაესწრნენ დიდძალი უპარტიო თანამგრძნობი მუშებიც რკინის გზის უმთავრეს სახელოსნოდან. კრების თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ამხ. გალიპხაია, მდივნობდა ამხ. დ. ფანცულაია. დღიურ წეს-რიგში იდგა შემდეგი კითხვები:

1. მოხსენება ბაქოს 26 კომუნისტებზე, 2. მოხსენება პარტიის გაწმენდის შესახებ, და 3. ახალგაზრდა კომკავშირის წარმომადგენელის მოხსენება.

ბაქოს დაღუპულ კომუნარების შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. კახიანი, რომელიც ასურათებს ბაქოს კომუნარების დაღუპვას. ჩვენთვის მუდამ სახსოვარ ოცდა ექვს ამხანაგების პიროვნებას და ამასთანავე მენშევიკების და ესერების როლს ჩვენი ამხანაგების დაღუპვაში.

ამხ. კახიანის მოხსენებამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა დამსწრე მუშებზე, რომლებმაც ფეხზე ადგომით პატივი სცეს ოცდა ექვს ტრაღიკულათ დაღუპულ მებრძოლ ამხანაგების ხსოვნას.

მეორე საკითხზე პარტიის გაწმენდის შესახებ მოხსენებას აკეთებს პირველ რაიონის პასუხისმგებელი მდივანი ამხ. გოლდბაუმი, რომელიც უხსნის დამსწრე მუშებს პროლეტარული პარტიის რიგების გაწმენდის მნიშვნელობას და მუხლ-მუხლათ არჩევს, თუ ვინ უნდა მოყვეს პარტიის გაწმენდაში. კრება ღებულობს ცნობათ ამხ. გოლდბაუმის მოხსენებას.

მესამე საკითხზე მოხსენებას აკეთებს ამხ. ლომიძე, რომლის მოხსენებიდან ირკვევა შემდეგი: კომუნისტურ ახალგაზრდობას მჭიდრო კავშირი აქვს იაჩეიკასთან, ამასთანავე თავისი წარმომადგენელი ყავს უმთავრეს სახელოსნოს ადგილობრივ კომიტეტში, რომელიც დიდ დახმარებას უწევს ახალგაზრდა მუშებს. ამასთანავე აღნიშნავს ახალგაზრდა მუშებში კულტურულ მუშაობის სისუსტეს, რის მიზეზათ ასახელებს წიგნების და რიგიანი ბინის უქონლობას. ამხ. ლომიძის მოხსენების შემდეგ კრება იხურება „ინტერნაციონალის“ სიმღერით.

**მეურივე.**

# მუშათა ცხოვრება

## ცეცხლის მქრობელი რაზმი

ამ რაზმის ადგილკომი ენერგიულად მუშაობს, მისი თაოსნობით რაზმთან გაიხსნა პირველი და მეორე საფეხურის სკოლა. აქვე არსებობს სამკურნალო ამბულატორია, რაც დიდ სამსახურს უწევს რაზმის წევრებს.

ამ რამოდენიმე ხნის წინეთ ჩვენს რაზმში ჩატარდა კავშირის მავნე ელემენტებისაგან გაწმენდა. გაწმენდაში რაზმის წევრები ცხოველ და ენერგიულ მონაწილეობას იღებდენ.

რაზმთანავე დაარსდა ურთიერთ დამხმარე კასა. სასურველია ამ კასამ რაც შეიძლება ადრე დაიწყოს მუშაობა.

**კ—ძე.**

## კარგი დასაწყისი

ყოველი დარგის წარმოებაში უკვე თავი იჩინა უმუშევრობამ. უმუშევრობასთან ბრძოლის ერთ კარგ საშუალებათ ითვლება საწარმო არტელები. ამ რამოდენიმე ხნის წინეთ მეტეხის მახლობლათ დაარსდა ასეთი არტელი სახელწოდებით „მღებავ მუშათა კავშირი“. შ. ს. კომისარიატმა ეს არტელი უკვე დაამტკიცა. არტელში შედიან უმუშევარი მუშები.

სასურველია არტელის არსებობის მეტი გახმაურება, რათა ყოველმა საზოგადო თუ სახელმწიფო დაწესებულებამ, თუ ექმნათ სამღებრო ხასიათის სამუშაო მხოლოდ მას მისცენ.

**უმუშევარი.**

—

## ყოფ. ვეტცელის ქარხანა

ამ ჟამათ ამ ქარხანაში აწყვია საბჭოთა რუსეთის ნაჩუქარი საფეიქრო, ქარხნის მანქანები. ქარხანა დღეს ცეკავშირს განკარგულებაშია ქარხანაში მუშაობა არ სწარმოებს, ასე წელიწადზე მეტი ქარხანას სდარაჯობს ორი დარაჯი თვითეულს უწევს 12 საათით დარაჯობა. გასამრჯელო მცირე აქვთ და ისიც აგერ 2 თვეა არ მიუღიათ. ცეკავშირის ბობოლებს ალბათ მომავალ თვეების ავანსები აქვთ მიღებული და დარაჯებს კი წარსული ორი თვის ჯამაგირიც არა. მენშევიკური სამართალი თუა ეს?

**მუშა.**

—

## საფაროვის ფაბრიკა

აქ ხშირხშირათ იმართება მუშათა საზოგადო კრებები. ირჩევა ეს თუ ის საჭირბოროტო საკითხი, მუშები ყოველთვის მხარს უჭერენ და ხმას აძლევენ კომიაჩეიკის წინადადებას.

აქ კავშირის ყოველივე დადგენილება დაუყოვნებლივ ხორციელდება ცხოვრებაში, ამ მხრივ ბევრს მუშაობს ქარხანასთან არსებული კომიაჩეიკა.

**კ. ხ.**

—

## წერილი სენაკიდან

ცენტრიდან დაშორებულ ადგილებში ზოგიერთ არამკითხე ოპეკუნებისაგან ხდება დაუშვებელი საქციელი მუშების მიმართ.

აი ასეთ საქციელი ერთ სანიმუშო მაგალითს წარმოადგენს სენაკის სამაზრო აღმშენებელთა კავშირში მომხდარი ამბები.

ამ კავშირში, როგორც ირკვევა, საქმე ისე არ მიმდინარეობს, როგორც წესი და რიგია, ამის მიზეზი წარმოადგენს ბ. ნ. პერეპლეტენკოს დაუშვებელი საქციელი მუშათა მიმართ. საქმის მდგომარეობა იმდენათ გართულებულია, რომ კავშირის გამგეობა იძულებული გამხდარა საქმეში ჩარეულიყო და პერეპლეტენკოს თავგასულობისათვის ლაგამი ამოედო, გამგეობის დადგენილებიდან ჩვენ ვტყობილობთ თუ რა კოშმარულ პირობებში უხდებათ მუშაობა მუშებს, პერეპლეტენკო არის ხელმძღვანელი ხეთის რკინის გზის ლიანდაგის. როგორც ირკვევა ხსენებული პერეპლეტენკო აბუჩად იგდებს მუშათა უფლებებს, თავის უფლებებს ბოროტად ხმარობს და ეწევა მუშების სასტიკ ექსპლოატაციას. მისთვის არ არსებობს საერთოდ მიღებული რესპუბლიკაში არსებული შრომის დაცვის კანონები. მისი თავ გასულობა იქამდისაც კი მიდის, რომ უარს ყოფს კოლექტიურ ხელშეკრულობის ხელის მოწერაზედ, არ ცნობს დამზღვევთა კასაში შესატანი 10 პროცენტი გადასახადს. მუშების ბედ-იღბალი დამოკიდებულია მის ნება სურვილზე. თავისი თავი წარმოდგენილი აქვს, როგორც განუსაზღვრელი მეფეს ამ ლიანდაგისა. მას ისეთი დაუშვებელი საქციელიც კი ჩაუდენია, რომ გამგეობის დაუკითხავათ გაუშვია სამუშაოდან ქუთაისის კავშირიდან მათ მიერ ჩამოყვანილი 10 კაციდან ექვსი კაცი, რომლებთანაც დღემდისაც არ გაუსწორებია ანგარიში, აგრეთვე ღებულობს მუშებს შრომის ბირჟის გარეშე.

**ახალი**

# ეკონომიური ცხოვრება

## მდგომარეობა ბირჟაზე

### ბაქოს ბირჟა

**ბაქო., 2 ოქტომბერი.** ბაქოს ბირჟის ოფიციალური ბიულეტინი.

| | 30 სექტ. | 1 ოქტ. |
|---|---|---|
| დოლარი | 10,000,000 | 10,200,000 |
| გირ. სტერ. | 48,600,000 | 48,900,000 |
| ფრანგ. ფრანკი | 75,000 | 750,000 |
| ლირა იტ. | 400,000 | 400,000 |
| ლირა თათ. ქაღ. | 7,550,000 | 7,600,000 |
| გერმ. მარკა | 14,000 | 18,000 |
| რუსეთის 1922 წლ. | | |
| შემც. 100 ათ. | 88 | 88 |
| „ „ მეტი | 88 | 88 |
| „ ვალდ. 10 მილ. | 88 | 78 |
| შემც. ვალ. 10,000 | 90 | 90 |
| ქართული | 4,000 | 4,000 |
| ოქ. 10 მან. | 48,600,000 | 48,900,000 |
| ლირა ოქრ. | | |
| თათ. | 39,000,000 | 39,500,000 |
| ნატ. 56 სინჯ. | 8,700,000 | 9,000,000 |
| თუმანი | 6,800,000 | 7,800,000 |
| 1 მან. ვერც. | 2,350,000 | 2,200,000 |
| „ დახურდ. | 1,100,000 | 1,100,000 |

განწყობილება დილიდან მტკიცე იყო, ბოლოს მოდუნებულია.

### ბათუმის ბირჟა

**ბათუმი. 5 ოქტ.** სავაჭრო სავალიუტო ბირჟის ოფიციალური ბიულეტენი: 3 ოქტომბერისათვის. ოსმალური ქაღ. ლირა—159—168,000. მან. ქართ. ბონით—8,300,000 მან. საბჭოთა ფულის ნიშნებით დოლ.—150,155 პიასტრი. გირ. სტ.—675—685 პ. თათრული ოქროს ლირა—515—525 პიასტ. ოქროს 10 მან.—640,650 პ. 20 ფრანკი—210—220 პ. 20 ლირა—130—140 პ. მარკა—კურსი არ არის.

### ერევნის ბირჟა.

**ერევანი, 6 სექტ.** უცხოეთის ვალიუტის თავისუფალი ბაზარი ათას მანეთებში სომხური ფულის ნიშნებით: ოქროს 10 მან.—64,000. ოქროს ლირა თათრ.—57,000 ქაღალდის—ლირა 8.270.

### ბერლინის ბირჟა

**ბერლინი. 6 ოქტ.** გირ სტერლინგი—9545,9. დოლარი—2957,30 ჰოლანდიური გულდენი—93695,25.

### პარიზის ბირჟა

**პარიზი 6 ოქტ.** ლონდონი—158,135 ნიუ-იორკი—13,1750. ბერლინი—0,60 ბელგია—93,70. ისპანია—200,00. ჰოლანდია—510,15. იტალია—58,80. შვეიცარია—216,15.

### რომის ბირჟა.

**რომი. 5 ოქტ.** პარიზი—178,50, ლონდონი—103,20, შვეიცარია—436,00. ნიუიორკი—23,30, ბერლინი—1,075, პრაგა—72,85.

### ლონდონის ბირჟა

**ლონდონი 5 ოქტომბ.** პარიზი—58,1. ნიუიორკი—4,42 სამი მეოთხ. ბრიუსელი—81.97. ნახ. მილანი—103,38. ბერლინი—9425,00. სტოკჰოლმი—2,6. ვენა—310000. პრაგა—160. გელსინგფორსი—195.

# სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელი კომიტეტის მეორე სესია

## სხდომა მეორე*)

**ამხ. თოდრია:** ამხანაგებო, აღმასრულებელ კომიტეტის პირველმა სესიამ 26 მაისს მიიღო მიწის მოწყობის დებულება. ამ დებულების მიხედვით ჩვენ გადავედით მიწის მოწყობის საკითხის მეორე ხანაში. პირველი ხანა იყო რევოლიუციონურად მიწის საკითხის გადაჭრა ადგილობრივ მიწის კომიტეტების მიერ. ეს ხანა დამთავრდა პირველ სესიის ამ დებულების დამტკიცების შემდეგ. ამის შემდეგ დავიწყეთ მიწის მოწყობა კანონიერად, განსაზღვრულ ფარგლებში, განსაზღვრულ მუხლების ჩვენებით. მაგრამ ცხოვრებამ გვიჩვენა, რომ ზოგი მუხლები ამ დებულებისა არ ეთანხმება იმ მდგომარეობას, რომელიც შეიქმნა ადგილობრივად, და რომელიც დაგვიტოვა რევოლიუციონური მხრით საკითხის გადაჭრამ. მიწათმოქმედების კომისარიატში შემოვიდა ბევრი განცხადებები და სხვა და სხვა ჩვენებები ამ დებულების ზოგიერთ მუხლების შეცდომების და შესწორებებისა. კომისარიატმა გადახედა ეს დებულება და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საჭიროა ზოგიერთი უმნიშვნელო და თანაც მნიშვნელოვანი შესწორებები იქნეს შეტანილი. პირველი საკითხი, რომელიც აღძრული იყო, ეს ის თუ რა ორგანოები უნდა სწყვეტდნენ მიწის საკითხს. ერთის მხრივ თითქოს მხოლოდ მიწათ მოქმედების კომისარიატს უნდა შეეხებოდეს მიწის საკითხი, მაგრამ, ადგილობრივ, სხვა და სხვა საბჭოთა ხელისუფლების ორგანოები ჩაერივნენ ამ საქმეში. მაგალითად: საკითხი რომელიც უნდა გადაეჭრა სამაზრო მიწის კომიტეტს, ხშირად ამ საკითხს სწყვეტდნენ თემები და სამაზრო აღმასკომები. და ესა თუ ის დადგენილებები იყო გამოტანილი ამ ორგანოებისაგან. ეს მიწათ-მოქმედების კომისარიატს დაუშვებლად მიაჩნდა. მიწის საკითხი არის საკითხი მიწათმოქმედების კომისარიატისა და სხვა ორგანოების ჩარევა ამ საკითხში დაუშვებლად მიაჩნდა კომისარიატს, და მან საჭიროდ სცნო შეეტანა დებულების პირველ მუხლში შემდეგი სიტყვები: „მხოლოდ მიწათ-მოქმედების კომისარიატს აქვს უფლება მიწის შესახებ კითხვების გადაჭრის“.

მეორე საკითხი იყო იმის შესახებ, თუ ვის უნდა დაუტოვოთ მიწა. დებულებაში ეს ცოტა ბუნდოვანათ იყო გამოსახული და ქალაქში მცხოვრებლებმა, დავრდომილებმა, ქვრივებმა და სხვა ისეთებმაც ვისაც მამული სრულიად ჩამორთმეული ქონდა მენშევიკებისაგანაც კი, იმათაც წარმოადგინეს მოთხოვნილება ამ ბუნდოვან მუხლის ძალით, რომ ჩვენ უნდა დაგვიბრუნდეს მიწა თქვენივე დეკრეტის ძალითო. ამ მუხლში კომისარიატს შეაქვს გარკვეული რედაქცია, რომელიც მარტავს იმას, ვის უნდა მიეცეს მიწა. ამავე მუხლში იქნა შეტანილი ფრიად მნიშვნელოვანი შესწორება. პირველ სესიაზე ამ საკითხმა დიდი კამათი გამოიწვია, მაგრამ საკითხი გადიჭრა ისე, როგორც შეტანილი იყო დებულებაში. მაგრამ ამან ცხოვრებაშიაც გამოიწვია დიდი კამათი. ეს ეხება იმ საკითხს თუ ვის უნდა მიეცეს და დარჩეს ნორმა. იქ იყო ლაპარაკი მუშებისა და მოსამსახურეების შესახებ. მაშინ ამ სესიაზედაც იყვნენ მომხრეები, რომ საბჭოთა დაწესებულებებში და საბჭოთა წარმოებაში მუშა მოსამსახურეს დაურჩეს ნახევარი ნორმა, ამის მომხრეები იყვნენ, მაგრამ აღმასრულებელი კომიტეტის უმრავლესობის დადგენილებით მოსამსახურეებს არ მიეცათ ნახევარი ნორმა, მიეცათ მხოლოდ იმ მუშებს, რომლებიც არიან სახელმწიფოს ფრიად საჭირო, საწარმოო დარგებში. ასეთები, როგორც ნათქვამი იყო დებულებაში იყვნენ: „რკინის გზის, ქვანახშირის და სხვა“.

რკინის გზა და ქვანახშირის მრეწველობა გარკვეული იყო მაგრამ „და სხვა“ გარკვეული იყო და ბევრ დავას იწვევდა. ვერავინ ვერ განმარტა ვერც თვით მიწადმოქმედების კომისარიატმა, ვერ განმარტა—რას ნიშნავს ეს „და სხვა“. ამ მიზეზით მიწათ მომწყობი კომისია რომელიც მოქმედობს მაზრაში მეტად უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა. რანაირად უნდა განესაზღვრა თუ რომელი დაწესებულება ფრიად საჭირო იყო სახელმწიფოსათვის. ამის გარდა მრავალი დაწესებულება, თვით კომისარიატები, კოლექტივები შემოდიოდენ თხოვნით ხშირად და ითხოვდენ იმათ დაწესებულების მოსამსახურეებისათვისაც მიგვეცათ ნახევარი ნახევარი ნორმა. ესე იყო ფოსტა-ტელეგრაფის უწყებიდან, იუსტიციის, ფინანსთა, შინაგან საქმეთა და თვით მიწათმოქმედების კომისარიატიდან. იქ მუშა-მოსამსახურეები აცხადებდენ თუ ჩვენ არ დაგვრჩება ნახევარი ნორმა, იძულებული ვართ, თუმცა იმ მიწით, რომელიც ჩვენ გვაქვს სოფელში, საცა არ გვაქვს ისეთი ინტენსიური მეურნეობა, რომ სავსებით ვირჩინოთ თავი იმით, მაგრამ ვინაიდან სამსახურში არ ვართ უზრუნველყოფილი ჯამაგირით და არ ვართ უზრუნველყოფილი ხვალინდელი დღე სათვის, შეგვამოკლებენ თუ არა, ამისათვის უკეთესია დაუბრუნდეთ სოფლის მეურნეობას. რა თქმა უნდა თუ ესეთი დაწესებულება როგორიც არის ფოსტა ტელეგრაფის, შინაგან საქმეთა კომისარიატი, მიწათმოქმედების კომისარიატი, სადაც მუშა მოსამსახურეები ასე თუ ისე უნდა ჩაითვალოს კვალიფიციურ მომუშავეთ და მათ ადგილზე დავაყენოთ შრომის ბირჟიდან ხალხი ეს საქმეს უთაოდ არევ-დარევს. ამიტომ მიწათმოქმედების კომისარიატი იძულებული შეიქნა შეიტანოს შესწორება ამ მუხლში და გარკვეულად ითქვას, რომ ნახევარი ნორმა დაეტოვება სახელმწიფო დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურეთ და ამოვშალოთ სიტყვები „და სხვა“. აქ რა თქმა უნდა ცხადია, რომ კერძო დაწესებულებებზე ლაპარაკი არ არის. კერძო დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურეთ ნორმა არ ეძლევათ თუ ისინი არ აკმაყოფილებენ მოთხოვნილებას, ე. ი. თითონ არ ამუშავებენ თავიანთ ხვედრ ნორმას ადგილობრივ. საკითხი იყო კიდევ ერთი, ეხებოდა ერთ მუხლს, რომელშიაც მიწის განსხვავებაა, ე ი. ერთი პირიდან მეორე პირის ხელში გადასვლა აკრძალული იყო, თუმცა ეს აკრძალვა იყო მაგრამ არავითარი სასჯელი ამ მუხლის დარღვევისათვის არ იყო: თუ რა მოელის იმ პირს რომელიც გაბედავს და დაარღვევს ამ მუხლს. ამისათვის კომისარიატმა გარკვეულად შეიტანა განმარტება, რომ ვინც დაარღვევს ამ მუხლს, ის იქნება მიცემული სისხლის სამართლის პასუხისგებაში. მართალია სისხლის სამართალში ჯერ არ არის კანონი ამის შესახებ, მაგრამ ამ მუხლის დამტკიცების შემდეგ იუსტიციის კომისარიატი ვალდებული იქნება გამოსცეს დეკრეტი, რომლის ძალით სასჯელი მოელის ამ მუხლის დამრღვევ პირებს, თვით ხელშეკრულება ჩაითვლება გაუქმებულად და ჩამოერთმევა მიწის ხმარების უფლება, უკანასკნელ ნაწილს თვით კომისარიატი ასრულებს. ერთი მხრივ ამ მუხლის დამრღვევი პასუხისგებაში იქნება მიცემული იუსტიციის კომისარიატის მიერ, მეორე მხრივ კარგავს უფლებას ამ მიწაზე, რომელიც გაჩუქებულია ან გაყიდულია. ეს შესწორება შეიტანა მიწათ მოქმედების კომისარიატმა და კომისიამაც, რომელიც გუშინ აირჩიეთ განიხილა და დაეთანხმა ამას. დავეთანხმე მე როგორც მიწათმოქმედების კომისარი და გთხოვთ სესიის მიერ მიღებულ იქნეს. ეხლა ნებას მივცემ ჩემ თავს და წავიკითხავ დებულების პირველი მუხლი არის შემდეგი: პირველი სესიის მიერ მიღებული ამნაირად: „საქართველოს საბჭოთა სოც. რესპუბლიკაში მთელი მიწა წყალი შეადგენს ერთიან სახელმწიფო ფონდსა და ამ მიწაზე მცხოვრებ მშრომელი ხალხის საერთო კუთვნილებას; ამ ფონდს განაგებს და აწესრიგებს მიწად-მოქმედების სამ. კომისარიატი“.

აქ არის ჩამატებული ორი სიტყვა, პირველი უმნიშვნელო წმინდა რედაქციული თუმცა სოც. ფედერალისტთა ფრაქციამ ამას დიდი მნიშვნელობა მისცა და არ დაეთანხმა. აქ არის ჩამატებული „სადგილ-მამულო ფონდი“. ფონდი ათასნაირი არის, ჩვენ ჩაუმატეთ ეს რომ ცხადი იყოს რომ მთელი მიწა-წყალი შეადგენს ასეთ ფონდს და შემდეგ არის ჩამატებული სიტყვა „მხოლოდ“. ე. ი. განაგებს და აწესრიგებს მხოლოდ მიწად-მოქმედების კომისარიატი. ეს არის საჭირო იმიტომ, რომ ადგილობრივ ზოგიერთ ადგილას საქმეში ჩაერიენ სხვადასხვა პირნი და დაწესებულებანი. ერთ სოფელში წარმოიდგინეთ სამედიატორო სასამართლოსაც მიმართეს, შეიყარენ გლეხებმა თავი, ასტეხეს დავა, ამოირჩიეს სამედიატორო სასამართლო და იქაურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა დააწესა ამ სასამართლოს განაჩენი. ამისათვის შევიტანეთ რომ მიწის ფონდს განაგებს მხოლოდ მიწადმოქმედების კომისარიატი, რა თქმა უნდა თავის ორგანოების საშუალებით. მეექვსე მუხლი წინანდელი რედაქციით ასეთია კითხულობს:

6. მიწის ნორმა ყოფილი საკუთარი მამულიდან დაეტოვება მხოლოდ იმ მეურნეს, რომელიც **სცხოვრობს ადგილობრივ** და საკუთარი შრომით ეწევა მეურნეობას.

მოხუცებულ-დავრდომილს, ქვრივ-ობოლს, მიწის-მუშა წითელ არმიელს და ყველას, ვინც მობილიზაციით დროებით მოწყვეტილი იქნება მეურნეობას, — დაეტოვება სრული ნორმა.

ყველა მუშა-მოსამსახურეს, რომელიც მსახურობს **განსაკუთრებული მნიშვნელობის** სახელმწიფო დაწესებულებაში და წარმოებაში (როგორიც არის მაგალითად: **რკინის გზა, ქვანახშირის მრეწველობა და სხ.**) დაეტოვება ნახევარი მიწის ნორმა.

ეს მუხლი იცვლება შემდეგნაირად: მიწის ნორმა საკუთარი მამულიდან დაეტოვება იმ მეურნეს რომელიც საკუთარი შრომით ეწევა მეურნეობას. აქ არის ამოშლილი სიტყვა „სცხოვრობს ადგილობრივ“. ჩვენთვის სულ ერთია თუ ის სად სცხოვრობს, ადგილობრივ თუ სხვაგან: თუ ის თითონ ამუშავებს თავის ნორმას ამ შემთხვევაში მას ვაძლევთ ნორმას, ამისთვის ჩვენ ამოვშალეთ „სცხოვრობს ადგილობრივ“. ახალი რედაქციის მუხლი იქნება შემდეგი:

მუხ. 6. მიწის ნორმა ყოფილი საკუთარი მამულიდან დაეტოვება მხოლოდ იმ მეურნეს, რომელიც **სცხოვრობს ადგილობრივ** და საკუთარი შრომით ეწევა მეურნეობას.

მოხუცებულ-დავრდომილს, ქვრივ-ობოლს, რომელიც **სცხოვრობს ადგილობრივ**, მიწის მუშა წითელ არმიელს, მილიციონერს და ყველას, ვინც მობილიზაციით დროებით მოწყვეტილ იქნება მეურნეობას, დაეტოვება სრული ნორმა.

ყველა მუშა-მოსამსახურეს, რომელიც მსახურობს საბჭოთა სახელმწიფო დაწესებულებაში და წარმოებაში, დაეტოვებათ ნახევარი მიწის ნორმა.

ეს მიღებულია ოღონდ უკანასკნელ აბზაცში სიტყვა: „წარმოებაში“-ს შემდეგ ჩამატებულია: „აგრეთვე კერძო წარმოების მუშებს“.

ეს სიტვა ზევიდან გადმოვიტანეთ ქვევით, იმისთვის რომ ქალაქში მცხოვრებ ქვრივ ობლებმა და დავრდომილებმა მოგვთხოვეს მიწა და აქ შეიქნა საჭირო დამატება სიტყვის „რომელიც ცხოვრობს ადგილობრივ“.

აი ამნაირად სიტყვა როგორიც რკინის გზის ქვანახშირის და სხვა ამოვიღეთ და დავტოვეთ საბჭოთა დაწესებულებების და წარმოებათა მუშა მოსამსახურეთ მიეცემათ ნახევარი მიწის ნორმა—ეს მეექვსე მუხლია. მერვე მუხლი წინანდელი რედაქციის ასეთია:

მუხ. 8. მიწა მიეცემა **საქართველოს რესპუბლიკის** ყველა მოქალაქეს, რომელიც პირადი შრომით ამუშავებს მიწას და რომლის საცხოვრებელ წყაროსაც შეადგენს სოფლის მეურნეობა, აგრეთვე ქვრივს, ობლებს და დავრდომილთ. ფონდიდან მიწის მიცემა სწარმოებს თავისუფალი მიწის ფონდის რაოდენობის მიხედვით.

ე. ი. ამ მუხლის თუ ჩვენ გვექნებოდა თავისუფალი ფონდი, ვაძლევდით მიწას ზემოაღნიშნულ პირთ. ახალი რედაქციით მიწა მიეცემათ ყველა მოქალაქეს, რომელიც პირადათ იმუშავებს და რომლის სასიცოცხლო საცხოვრებელ წყაროს შეადგენს მიწის მეურნეობა. ახალი რედაქციით იქნება ასეთი:

მუხ. 8. მიწა მიეცემა ყველა მოქალაქეს, რომელიც პირადი შრომით ამუშავებს მიწას და რომლის საცხოვრებელ წყაროსაც შეადგენს სოფლის მეურნეობა, აგრეთვე **ადგილობრივ მცხოვრებ და მშრომელთა წრის** ქვრივს, ობლებს და დავრდომილს. ფონდიდან მიწის მიცემა სწარმოებს თავისუფალი მიწის ფონდის რაოდენობის მიხედვით.

**შენიშვნა:** მიწით უნდა დაკმაყოფილებულ იქნენ პირველ რიგში საქართველოს მოქალაქენი, შემდეგ უცხოეთიდან მოსულნი.

საქმე იმაშია, რომ ზოგიერთი ადგილას ორიოდე მაზრაში ჩვენ გვაქვს თავისუფალი მიწა, საფონდო მიწა. ჩვენ გვინდა რომ საფონდო თავისუფალ მიწაზე გადავასახლოთ იმ მაზრებიდან, სადაც დიდი სივიწროვე არის მიწის, როგორიც არის რაჭა, ლეჩხუმი, გურია, სამეგრელო და სხვა. მაგრამ ამ მუხლის ძველი რედაქციის ძალით იმ პირებმა, რომელნიც მოსული იყვნენ სხვა ქვეყნიდან, მოგვთხოვეს თავისუფალი მიწა ახალქალაქში და ბორჩალოში მათთვის მიგვეცა. და ჩვენ უარის თქმა არ შეგვეძლო ამ მუხლის ძალით. ეს შესწორება არის ის რომ მიწით უნდა დავაკმაყოფილოთ პირველ რიგში საქართველოს მოქალაქენი და შემდეგ უცხო ქვეყნიდან მოსული თუ დარჩება მიწა. მეთუთხმეტე მუხლის წინანდელი რედაქცია ასეთია:

მუხ. 15. მიწის სარგებლობის უფლების გადაცემა (გაყიდვა, ჩუქება, დაგირავება და იჯარით გაცემა) აკრძალულია.

აქ ჩვენ დაუმატეთ (კითხულობს) დამნაშავე პასუხისმგებელია სისხლის სამართლის წინაშე.

მიღებულია უცვლელად მუხ. 15. მიწის სარგებლობის უფლების გადაცემა (გაყიდვა, ჩუქება, დაგირავება და იჯარით გაცემა) აკრძალულია. **დამნაშავენი პასუხს აგებენ სისხლის სამართლის წესით და კარგავენ მიწის სარგებლობის უფლებას, ხოლო თვით ხელშეკრულება ჩაითვლება გაუქმებულად.**

აი ეს არის შესწორება.“

(შემდეგი იქნება).

---

*) გაგრძელება. იხილე გაზ. „კომუნისტი, № 230.

# პროვინციაში

## სოფელი ბაგები

ეს სოფელი მდებარეობს თბილისიდან 4 ვერსზედ, თბილისა და წყნეთს შუა, შესდგება ორმოციოდე კომლისაგან. მიუხედავათ თბილისთან ასე ახლო ყოფნისა კულტურულად ძლიერ არის უკან ჩამორჩენილი. აქ ყოველ ნაირი ცრუ მორწმუნეობას მაგრად აქვს ფესვი გამდგარი. ამ სოფელში ვერ ნახავთ ვერავითარ საზოგადოებრივს, არც სკოლაა, არც წიგნთსაცავ-სამკითხველო, და სხვარამ ასეთი. ამისთვის არც თითონ მცხოვრებლები იტკიებენ თავს და არც სხვა ვინმე იწუხებს გულს. მიწის ძლიერ სიმცირე-სივიწროვის გამო ხვნა თესვას ნაკლებათ მისდევენ, უფრო ეტანებიან მებაღეობა მებოსტნეობას. 30 აგვისტოს ამ სოფელში მოვიდა არა ჩვეულებრივი სეტყვა, ქათმის კვერცხზე უმსხვილესი, გასტანა საათ ნახევარი და ამ ხნის განმავლობაში მიწასთან გაასწორა მთელი წლის ადამიანის ნაწვავ ნადაგვი, ოფლში და სისხლში გაზანილი ნაშრომი გააქრო და დედამიწის პირიდან აღგავა ყოველივე. ხეხილი და ვაზი ისე გადაქერქა-გაატყავა, რომ კაცს ეგონება საგანგებოთ წალდით გაუთლიათო, აღარც ერთი ფოთელი არ შერჩა ხეხილს, რის გამოც ტოტები და ყლორტები სათანადოთ ვერ დამწიფდება, მწვანეთ დარჩება, სინესტე შეჰყვება და რაც უნდა თბილი ზამთარი იყოს, ზაინც ხე თუ ძირიანად არ გახმა, ტოტები მაინც გაუხმება გაისისათვის. ასე, რომ ამ საშინელმა სტიქიამ არამც თუ წლევანდელი წლის მოსავლით დაგვაზარალა, მომავალი რამდენიმე წლის მოსავალიც თან გაიყოლია, ხალხი ამ ბაღებს შეჰყურებდა, ამისი იმედი ჰქონდა, ეხლა კი ხელცარიელი დარჩა.

როგორც ზევით მოგახსენეთ, ხალხი სწავლა განვითარებით ძლიერ უკან ჩამორჩენილია, და ამიტომაც ისინი ამ უბედურებას მიზეზათ თვლიან კვირა-უქმის „გატეხვას", რის გამოც დაადგინეს ვინც კვირა უქმეს „გასტეხს, უნდა სასტიკად დაჯარიმდეს". ამ სოფელში ქართველები და სომხები ცხოვრებენ. ორივენი მოვალენი არიან ერთი მეორის საუფლო და საეკლესიო დღეობა-უქმეები უკლებლივ შეინახონ. ამას კიდევ ერთი ახირებული უქმე მიუმატე: ყოველი ოთხშაბათი სასტიკათ უნდა იუქმონ „სეტყვის ანგელოზის" პატივ საცემად. აი ამ „რადიკალური და მკვიდრი გარანტიებით უზრუნველ ჰყვეს" ბაგელებმა თავი თვისი მომავალ სტიქიისაგან. ასე, რომ კაცს ბაგებში კვირაში ერთი ანუ ორი დღე თუ დარჩა სამუშაოდ, დანარჩენი დღეები უქმეებათ არის გამოცხადებული.

საჭიროა ბრძოლა ხალხის ასეთ სიბნელესა და უმეცრებასთან.

**დროებით ბაგებელი.**

—

### ბუკის-ციხის თემი.

(გურია).

ეს თემი მდებარეობს აღმოსავლეთ გურიაში, დაშორებულია ჩოხატაურიდან 6 ნახ. ვერსით. აქ არსებობს ფოსტა ტელეგრაფი და ტელეფონი, კოოპერატივი, სამკითხველო, წვრილი საკრედიტო ამხანაგობა, 8 წლიანი შრომის სკოლა, რომელიც 168 კომლისაგან შემდგარმა თემმა ააგო თავის ხარჯზე. შენობა დაიწყო 1918 წლ. დამლევს, ასეთ საზღაპრო სიძვირის დროს თითო მოსახლეს დაუჯდა აღნიშნული სკოლის შენობის აგება 1,500,000 მან. თავის ფიზიკური შრომის გარეთ, რომელსაც მხედველობაში არ ვღებულობ. აქ მცხოვრებნი უფრო მისდევენ: სიმინდის და ღომის მოყვანას, აგრეთვე პირველი ადგილი უჭირავს მევენახეობას, უფრო მისდევენ ეგრეთ წოდებულ „ადესის" გაშენებას, თუმცა ბევრს ჰქონდათ გაშენებული დაბლარი ვენახებიც, მაგრამ დიდ უმეტესობამ უკვე აჭრა წამლების სიძვირის გამო. მცხოვრებნი განიცდიან დიდ გაჭირვებას საყანე მიწების უქონლობით, რის გამოც მათი დიდი უმრავლესობა მიდის სხვაგან ყანების დასამუშავებლად: ანჯალში, სურებში, სუფსაში და სხვაგანაც, თუ კი სადმე იშოვნიან საყანეს. აქ საერთოდ მდიდარს და ბევრი მიწის მქონეს ეძახიან იმას ვისაც ჭადი ეყოფა მაისის დამლევამდე. დიდ უმრავლესობას კი არ ჰყოფნის არც იანვრის ბოლომდე. სამაგიეროთ აქ ბლომათ მოდიოდა „ადესი"-ს ღვინო, რომელიც წელს თითქმის სრულებით არ არის. სიმინდის და ღომის მოსავალს კი აქ უჩანდა საშუალო პირი, მაგრამ 7-8 სექტემბერს მოსულმა კოკისპირულმა წვიმებმა და ნიაღვარმა სრულებით წალეკა, როგორც ყანები, ისე ბაღჩები, მოთხარა და წაიღო ვენახიანი ხეები და სხვა. შედგა წყალ-დიდობის მიერ მცხოვრებლებზე მიყენებულ ზარალის გამომრკვევი კომისია, 12 კაცისაგან. დავათვალიერეთ როგორც მოსახლეობა, ისე საყანე მიწები და გამოვარკვიეთ შემდეგი: მცხოვრებთა დიდი უმეტესობის ყანები, ბაღჩები, ვენახიანი ხეები წაღებულია წყლის მიერ, წაღებულია ხიდები, 2 წისქვილი ჩხიკვაძეების და წაგურგენიძეების საკალანდაძეო, რომელშიც იყვნენ გაშენებული მდ. სუფსიდან გამოყვანილ არხებზე, წაღებულია აგრეთვე 4 დესეტინამდე მიწა, რომელზედაც მდინარე სუფსამ გაიკეთა თავის კალაპოტი.

წაღებულია 1 სახლი ს. სიხარულიძის, წაქცეულია სახლი ამხ. ფილიპე კალანდაძის. ამხ. ფილიპე კალანდაძე არის კომპარტიის ძველი წევრი, უკიდურესი ღარიბი, არ გააჩნია არც სამოსახლო და არც საყანე მიწა. 7 სულისაგან შემდგარი მცირე წლოვანი ცოლ შვილი კალანდაძისა დაყრილ ია ღვთის ანაბარა. ადგილობრივ აღმასკომს არ აქვს საღსარი გაუწიოს მას რაიმე მატერიალური დახმარება.

საჭიროა იქნეს მიღებული ზომები, რათა აღმოეჩინოს კალანდაძეს სასწრაფო დახმარება, თორემ ზამთარი კარს მოგვადგა და მიწდვრათ დაცვენილ ოჯახს მთელის სიცივით და სიმშილით განადგურება. საერთოდ კი მთელ თემში ზარალის აწერა შეუძლებელია. ხალხი სასოწარკვეთილებაშია ჩავარდნილი. საჭიროა მთავრობის მიერ სასწრაფო ზომების მიღება.

**თ. სიხარულიძე.**

—

### თელავის მაზრა.

ა. წ. 1 ოქტომბერს თელავის მაზრაში იქნა ჩატარებული კამპანია ბანდიტიზმის წინააღმდეგ, რათა უკანასკნელი იერიში მიეტანა თელავის მაზრის მშრომელ გლეხობას დარჩენილ ნაძირალებზე. ასეთიებს გასაბაწრავად, მენშევიკური პროვოკაციის გასაქარწყლებად იქნა მოწყობილი მაზრაში მასშტაბით მასიური მიტინგები, რისთვისაც გაიგზავნენ მაზრიდან შემდეგი პასუხისმგებელი ამხანაგები: იყალთოს რაიონში: ბერძნიშვილი, საყვარელიძე, თენიეიშვილი და კობტაშვილი; ფშაველის რაიონში: ხუნდაძე, კორნაველი, ესიტაშვილი, ყვარლის რაიონში: გ. ჩიტლაძე, ორაგველიძე, კარჩაული. წინანდალში ი. კიზირია, ს. ჭერიძე, ბ. გოგა, კომპანია ბრწყინვალეთ იქნა ჩატარებული, ყველგან დაესწრო დიდძალი ხალხი ყველგან ზიზღით უცხადებდნენ ბანდიტებს და მათი მფარველებს პროვოკატორ-დემაგოგებს მენშევიკ ნაც.-დემოკრატებს და სულ ნდობას უცხადებდნენ საბჭოთა ხელისუფლებას.

**ირ. კიზირია.**

# ქრონიკა

◆ **პოლიტიკური მუშაობა გამასწორებელ სახლებში.** სექტემბერში პოლიტიკური განათლების მთავარ განყოფილებაში შესდგა თათბირი მე-3-ე რაიკომის მდივნის და იუსტიციის დამსჯელი განყოფილების წარმომადგენლის მონაწილეობით, სადაც განხილულ იქნა საკითხი გამასწორებელ სახლებში პოლიტიკურ განათლების მუშაობის მოსაწესრიგებლად. ამ თათბირმა აღნიშნა მთელი რიგი ღონისძიებათა, რომელთაც ცხოვრებაში ატარებს პოლიტიკური განათლების მთავარი განყოფილება. დანიშნული არიან პასუხისმგებელი ხელმძღვანელები, გამოწერილია გაზეთები ქართულ, რუსულ, სომხური და მუსულმანურ ენებზე, მოწესრიგებულია ლიტერატურის მიწოდების საქმე, მოწინავე წიგნთსაცავების საშუალებით.

◆ **პედაგოგიური ტექნიკუმი.** სოციალური აღზრდის მთავარი განყოფილებას განზრახული აქვს 20 ოქტომბრისათვის გახსნას ახალი პედაგოგიური ტექნიკუმი ქართულ ენაზე. ტექნიკუმში მიიღება 60-დე კაცი და აქვე იქნება ინტერნატი. ტექნიკუმში მიიღებიან სახალხო განათლების განყოფილების მიერ წარდგენილი პირები, რომელთაც დამთავრებული უნდა ჰქონდეთ პროვინციის ტექნიკუმებში სამი კლასი.

◆ **ექიმის მოწმობა მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების ჩაწერისათვის**, ქალაქის ჯანმრთელობის განყოფილებას განზრახული აქვს არსებულ წესის შესაცვლელად, რომლითაც მოქალაქეობრივი აქტების ჩამწერი განყოფილება ჯვარის წერისათვის ყველა ექიმებიდან, თვით მათგანაც, რომლებიც ამ ჟამად არ მსახურობენ,—დააწესონ მოწმობების გაცემა მხოლოდ ვენერიულ საავადმყოფოდან.

◆ **არა საკმაო ნიშნებიან მოწაფეების მიღება.** იმის გამო, რომ ადგილი აქვს ტექნიკუმებში ისეთ მოწაფეების მიღებას, რომელთაც მიუღიათ შრომის სკოლებიდან მოწმობები არა საკმაო ნიშნებით, განათლების სახალხო კომისარიატმა წინადადება მისცა სახალხო განათლების განყოფილებების ყველა გამგეებს, გასცენ სათანადო განკარგულება ტექნიკუმებისადმი, რათა ასეთ მოწაფეების მიღება დაშვებული იყოს მხოლოდ იმ პირობით, თუ ასეთები ორი თვის განმავლობაში ჩააბარებენ კოლოქვიუმს იმ საგნებში, რომლებშიდაც არასაკმაო ნიშნები აქვთ.

◆ **საექსპერტო კომისია.** კვალიფიციურ უმუშევრების გამოსარკვევად რკინის გზელთა სექციასთან განზრახულია დაარსდეს საექსპერტო კომისია, ექსპერტ-სპეციალისტების მონაწილეობით.

# ხელოვნება

— **სახალხო სახლი.** სახალხო სახლის სცენის მოყვარეთა დასი უკვე შესდგა შემდეგი პირებისაგან: ქ-ნნი: ასათიანი, ყოჩიაშვილი, რომანიშვილი დგებუაძისა, ბარათაშვილი, ნინინი, მჭედლიშვილი, ქართველიშვილი და აბაშიძე.

ვაჟნი: გოცირიძე, თაზიაშვილი, ადამიძე, რომანიშვილი სოსო, ხახანაშვილი, თავდგირიძე, ჯიბლაძე, გვარაძე, ნინიძე, ანაშვილი, სალაყაია, კობიძე, ივერიელი, ელიაშვილი და მაისურაძე. აგრეთვე დასში მოწვეულნი იქნებიან გერმანიიდან ახლად დაბრუნებული თამარ გოგოლაშვილი და მინდიაშვილი. მთავარ რეჟისორათ მოწვეულია შ. დადიანი, დამხმარე რეჟისორებათ: სანდრო ბადრიძე და სოსო რომანიშვილი, რეჟისორის თანაშემწედ: გარსიაშვილი, სუფლიორად: გელეიშვილი, პირველი თვის რეპერტუარი იქნება: მსხვერპლი, სიმახინჯე, პატარა კახი, ქალაქში, ტაიფუნი, მღვიმეში, სტუმარ-მასპინძლობა. სეზონი გაიხსნება 22 ოქტომბერს.

— **აღმოსავლეთის მუსიკალურ-ვოკალური საღამო.** სამშაბათს, 10 ოქტომბერს, სახელმწიფო კონსერვატორიაში ნერსეს ყორღანოვის ხელმძღვანელობით გაიმართება აღმოსავლეთური მუსიკალურ-ვოკალური საღამო საიათნოვას ნაწარმოებებიდან, ბაშინჯაღიანის, ლისიციანის, ელბაქიანის, ფირუმიანის, ყორღანოვის, ოჰანეზაშვილი, გრიშაშვილის, ცაციშვილის და ალბერტის მონაწილეობით.

— **სახ. კონსერვატორია.** ორშაბათს, 9 ოქტომბერს, სახელმწიფო კონსერვატორიაში გაიმართება დიდი სიმფონიური კონცერტი ს. ბარერის მონაწილეობით.

**დღეს თეატრებში:**

სახალხო სახლი—ქართული წარმოდგენა.
— კონსერვატორია—კონცერტი.
— სოვპროფის დიდი დარბაზი—ლექცია კონცერტი.
— მუშათა ცენტრალური კლუბი—წარმოდგენა.
— ახალი თეატრი ც. 8. კ.—კინო.
— ცირკი—მრავალფეროვანი პროგრამა.

# მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

## დადგენილება № 53.

**საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი—პროფესიონალური, პოლიტიკური, საბჭოთა კოოპერატიული და სამეურნეო ორგანიზაციებისა და დაწესებულებების პასუხისმგებელ მომუშავეთა შრომის სასყიდლის შესახებ.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ ამა წლის მაისის 23 თარიღისა, და 21 №-ით გამოცემული დადგენილების გასაუქმებლად, საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. პასუხისმგებელ მომუშავედ ჩაითვლება პროფესიონალური, პოლიტიკური, კოოპერატიული, საბჭოთა და სამეურნეო მომუშავე, რომელიც პასუხსაგებ მონაწილეობას იღებს პროფესიონალურ, პოლიტიკურ, კოოპერატიულ, საბჭოთა და სამეურნეო აღმშენებლობის საქმეში და რომელიც პასუხისმგებლობას ეწევა მისდამი დაკისრებული მოვალეობის არა მარტო ტექნიკურად აღსრულებისათვის, არამედ პასუხისმგებელია აგრეთვე მისდამი დავალებული ფუნქციების იდეური და პოლიტიკური წარმართვისა და აღსრულებისათვის.

2. პასუხისმგებელი მომუშავის სასყიდელი დაწესებულ იქნეს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის მრეწველობის ძირითად დარგებში უაღრესი სარგით დადებული კოლექტიური ხელშეკრულობის საშუალო განაკვეთის მიხედვით.

**შენიშვნა:** საშუალო სატარიფო განაკვეთად ჩაითვალოს ჩვიდმეტ ხარისხოვანი სატარიფო ქსელის პირველი ხარისხის განაკვეთი რომელიც დაწესებულია საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის სამეტალო, ხისმკეთებლობისა, ქიმიურისა, ტყავეულობისა და სათამბაქო მრეწველობაში დადებულ 5 კოლექტიური ხელშეკრულობის მიხედვით; ამასთანავე სატარიფო ქსელში შეფარდება დაცულ უნდა იქნეს, როგორც 1:5.

3. მე 2-რე მუხლში დაწესებული განაკვეთი რესპუბლიკის საპროვინციო ადგილების პასუხისმგებელ მომუშავეთათვის შემცირებულ უნდა იქნეს საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის უმაღლესი სატარიფო საბჭოს მიერ დაწესებული ზოლების თანახმად.

4. საშუალო განაკვეთს პასუხისმგებელ მომუშავეთათვის, მე 2 მუხლის თანახმად, აწესებს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის შრომის სახალხო კომისარიატი საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსთან შეთანხმებით; ამასთანავე, ამ განაკვეთის გადასინჯვა უნდა სწარმოებდეს სამ თვეში ერთხელ მაინც, დადგენილი განაკვეთი გამოქვეყნებულ უნდა იქნეს შრომის სახალხო კომისარისა და საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს მდივნის ხელმოწერით.

5. სასყიდლიან თანამდებობათა შეთავსება, აგრეთვე სხვა გვარი დამატებითი სასყიდელი,—გარდა ლიტერატურული ნაწარმოების ჰონორარისა და სასყიდლისა სწავლებისათვის,—აკრძალულია იმ პირთათვის, ვინც ჯამაგირს პასუხისმგებელი მომუშავის ტარიფით იღებს.

6. სასყიდელი მგზავრობისა, წარვლინებისა, სხვა ადგილზე გადაყვანისა და სხვ. პასუხისმგებელ მომუშავეთ ეძლევათ საერთო საფუძველზე.

7. პასუხისმგებელ მომუშავეთა დანაწილებას სატარიფო ხარისხებად აწარმოებენ დაწესებულებათა და წარმოებათა ორგანოები, რომლებმაც ამასთანავე უნდა იხელმძღვანელონ საამისოდ არსებული შრომის სახალხო კომისარიატის და საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს დებულებანი და სპეციალური ინსტრუქცია.

8. დადგენილება ესე ძალაში შედის 1922 წლის ოქტომბრის 1-დან.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ს. ქავთარაძე.**

შრომის სახალხო კომისარი **ა. იაშვილი.**

სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი **ალ. ხალარიძე.**

1922 წ. ოქტომბრის 1.
ტფილისი—სასახლე.

—

### ცირკულიარი

**ს. ს. ს. რ. სახალხო განათლების კომისარიატის ყველა განათლების განყოფილების გამგეს**

საერთოდ მიღებულ წესის მიხედვით ტექნიკუმების გამგეთა დანიშვნა, გადაყენება, ან ერთი სასწავლებლიდან მეორეში გადაყვანა უნდა ხდებოდეს მხოლოდ და მხოლოდ განათლების კომისარიატის მიერ განხილვის და დამტკიცების შემდეგ. ნამდვილად კი ამ ბოლო დროს იშვიათია ისეთი მოვლენა, რომ ინიშნება გამგე ამა თუ იმ ტექნიკუმში, ან გადაყვანილია ერთი სასწავლებლიდან მეორეში,—და კომისარიატმა კი არაფერი იცის და მხოლოდ შემთხვევით იტყობს მომხდარ ცვლილებათა შესახებ. ამასთანავე ერთად ადგილი აქვს ისეთ შემთხვევებსაც, რომ გამგის თანამდებობაზე დაშვებული არიან საშუალო განათლების ცენზიანი პირნი, რაიცა კომისარიატის მიერ ყოვლად მიუღებელია.

რომ მომავალში მაინც არ ექნეს ადგილი ყველა ზემოდ ჩამოთვლილ არა სასურველ მოვლენათ, ს. გ. კომისარიატი გთხოვთ მიიღოთ სახელმძღვანელოდ და ასასრულებლად შემდეგი:

1. კანდიდატი გამგის თანამდებობაზე უნდა წარმოდგენილ იქნას კომისარიატში, მანამ იგი ამ უკანასკნელის მიერ არ იქნება დამტკიცებული თანამდებობაზე, მინამ იგი არავითარ შემთხვევაში არ უნდა შეუდგეს თავის მოვალეობის ასრულებას.

2. გამგის გადაყენება, ან ერთი ტექნიკუმიდან მეორეში გადაყვანა უნდა ხდებოდეს იმავე წესით, ე. ი. კომისარიატის მიერ დამტკიცებით და

3. გამგის კანდიდატი უნდა იყოს უმაღლეს სწავლა დამთავრებული და, რამდენაც შეიძლება, პედაგოგიური სტაჟის ცენზიანი პირი.

განათლების სახალხო კომისარის მოადგილე **ორახელაშვილისა.**

პროფ. განათ. მთავარ მმართველობის გამგე **ნ. მგელაძე.**

## დადგენილება № 6.

**საქ. სოც. საბჭ. რესპ. უმაღლეს სატარიფო საბჭოსი.**

იმ წარმოება დაწესებულებებში განაკვეთის განსაზღვრისათვის, სადაც დადებულია კოლექტიური ხელშეკრულება, ოქტომბრის თვის პირველ ნახევრისათვის, განაკვეთის საფუძვლად ქალაქ ტფილისისათვის დაწესებულია შემდეგი ბაზრის საშუალო ფასები.

| №№ რიგზე | პროდუქტების დასახელება | რაოდენობა | ფასი ერთეულის ადგილობრივ ბონებით, ათასებში, სექტემბრის თვის მე-2 ე ნახევრისათვის. |
|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 |
| 1 | პური | 1 გირ. | 10 |
| 2 | კარტოფილ | 1 „ | 4 |
| 3 | ლობიო | 1 „ | 9 |
| 4 | ბრინჯი | 1 „ | 18 |
| 5 | კომბოსტო | 1 „ | 4 |
| 6 | ხორცი | 1 „ | 30 |
| 7 | ზეთი | 1 „ | 45 |
| 8 | ერბო | 1 „ | 75 |
| 9 | შაქარი | 1 „ | 45 |
| 10 | მარილი | 1 „ | 2 |
| 11 | თევზი | 1 „ | 25 |
| 12 | ჩაი | 1/4 „ | 50 |

უმაღლეს სატარიფო საბჭოს თავმჯდომარე **ა. მიქაძე.**

მდივანი **გ. ბოკუჩავა.**

# უწყებები

## პარტიული

**საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება**

აცნობებს ამხანაგებს, რომ 14 ოქტომბრიდან დაიწყება მუშაობა სამ საშუალო ტიპის მარქსისტულ წრეში, პოლიტიკური ხელმძღვანელების და ორგანიზატორების მოსამზადებლად. ერთი წრე იქნება ქართულ ენაზე, რომლის ხელმძღვანელად დანიშნულია ამხ. თალაკვაძე და ორი კი რუსულ ენაზე ხელმძღვანელები არიან: ამხ ნოვიკოვი და ა. ესსენი. ამხანაგებს, რომელთაც სურთ ერთ-ერთ აღნიშნულ წრეში შესვლა უნდა გატარდენ რეგისტრაციაში საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის საგიტაციო საპროპაგანდო განყოფილებაში—13 ოქტომბრამდე.

წრეში შესვლისათვის საჭიროა ცოდნა რაიონულ პარტსკოლის ან პოლიტიკური წრეების ფარგლებში.

საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების გამგე **ესსენი.**

**თბილისის კომიტეტი**

წინადადებას აძლევს ყველა სამხედრო ნაწილების შეფებს, გამოცხადდენ საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის სხდომაზე, რომელიც შესდგება ორშაბათს, 9 ოქტომბერს საღამოს 5 საათზე. გამოცხადება სავალდებულოა.

(1—1). თბილისის კომიტეტის მდივანი **კახიანი.**

### საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის მე-4 რაიკომი

ამით აცხადებს, რომ რაიკომის პარტიულ ამხანაგებთან უფრო მჭიდროთ დაკავშირების მიზნით, რომელთაც მუდმივათ არ აქვთ საშუალება დღისით დაესწრონ პარტიულ კომიტეტის მუშაობას, რაიკომებში იწარმოებს დამატებითი მუშაობა ყოველ დღიურად საღამოობით, 6-დან 9 საათამდე.

(3—1) რაიკომის პასუხისმგებელი მდივანი: **ამახი.**

**ისტორიის შესასწავლად**

ბიურო სთხოვს პარტიის ყველა ძველ წევრებს მიიღონ აქტიური მონაწილეობა ამის მუშაობაში. გზავნონ მის განკარგულებაში მყოფი მასალები მოგონების, მემუარების, მონოგრაფიების და სხ. სახით.

ბიურო ფიქრობს გამოსცეს მთელი რიგი პერიოდულ კრებულებისა, რომელიც შეეხება ქ. ტფილისის კომუნისტურ ორგანიზაციების ისტორიის სხვა და სხვა მომენტებს.

(5—5) პარტიის ისტორიის ბიურო.

კვირას, 8 სექტემბერს დილის 11 საათზე საქართველოს [illegible] ლისის კომიტეტის შენობაში გაიმარ[illegible]

**საორგანიზაციო კოლეგიის სხდომა.**

საორგანიზაციო კოლეგიის ყველა წევრთა დასწრება სავალდებულოა. ტფილისის კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილების გამგე. რუბენი.

2—2

**სარედაქციო კოლეგია**

# განცხადებები

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბუნებისმეტყველთა სამეცნიერო წრე ამით აუწყებს მეგობრებს და ამხანაგებს დაუვიწყარ წევრის

## დავით ლორთქიფანიძის

უდროოთ დაკარგვას. დაკრძალვა მოხდება ნიკოლოზის ეკლესიის გალავანში, გამოსვენება კვირას დილის 10 ნახ. საათზე სლეპცოვს ქ. № 5

---

## გაზეთის ტრესტის პროვინციალურ კონტრ-აგენტების საყურადღებოთ

გაზეთის ტრესტის მთავარ კანტორამ გაიგო, რომ ზოგიერთი კონტრ-აგენტები აჩერებენ 2—3 დღეს გაზეთებს, რომელიც მათი საშუალებით ეგზავნებათ პარტიულ კომიტეტებს, აღმასკომებს და სხვ. გაცნობებთ, რომ გაზეთების შეჩერება დაუშვებელია. კონტრ-აგენტი, რომელიც შემჩნეულ იქნება გაზ. დაგვიანებაში, დაუყონებლივ დაჰკარგავს წარმომადგენლობის უფლებას და მიეცემა პასუხისგებაში.

(0—33)

---

თბილისის ქალაქის აღმასკომის გადასახადთა

## ბიურო

აცხადებს, რომ ხუთშაბათს, 12 ამა ოქტომბერს დღითი 12 საათზე დანიშნულია

## საჯარო ვაჭრობა

მუდმივი სადგომი ეზოზე (ბაკზე) მდებარე კახ. ქ. № 58—59. კანდიციის გაგება შეიძლება ოთახი № 50 საჯარო მაგიდის გამგესთან.

(კრ 280—5—2)

---

ქალაქის აღმასკომის საადგილ-მამულო

## განყოფილება

აცხადებს

ყველა დაინტერესებულ მოქალაქეთა საყურადღებოთ, რომ ის ბაღ-ბოსტნები, რომელთაც საიჯარო გადასახადი შემოტანილი არ ექნება საადგილ-მამულო განყოფილებაში (ოთახი № 52) ა. | წ. 15 ოქტომბრამდე ჩამოერთმევათ დღევანდელ მათ მფლობელთ და გადაეცემა სხვაზე იჯარით.

(კრ. 5—3—1)

---

კვირას ა. წ. 8 ოქტომბერს დილის 9 საათზე კომუნალურ განყოფილების

## სექციის წევრნი

გაემგზავრებიან ავჭალის წყალსადენის დასათვალიერებლად. ვიწვევთ ყველა ამხანაგებს აღნიშნულ დროზე გამოცხადდნენ აღმასკომის ბინაზე. საჭიროა თან იქონიონ თავ-თავიანთი ულუფა.

(კრ. 4—1—1) აღმასკომის პრეზიდიუმის მდივანი: **ხუნდაძე.**

---

## ტფილისის აღმასრულებელი კომიტეტის მიწადმოქმედების განყოფილება

აცხადებს, რომ ქალაქის № 1 (ყოფ. მანთაშევის) მამულში ვორონცოვის ქ. № 125 დამზადებულია

გასასყიდათ

## ყოველგვარი ყვავილები

და აგრეთვე შეიძლება შეკვეთა გვირგვინების, კალათების, მწვანეულობის დეკორაციების და ყვავილების დასამზადებლად.

ფასები 20 პროცენტით ნაკლებია ბაზრის ფასებზე.

შეკვეთათა შესრულება სწარმოებს წესიერად და სასწრაფოდ.

(372—3—3)

---

**დაიკარგა** პასპორტი მიღებული ქუთაისში 1919 წ. და [illegible]რადობის მოწმობა გაცემული მე-4 უბნის კომისარიატიდან 1921 წ. 17 იანვარს ნიკოლოზ ზაქარიას ძე მოსეშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. (398—1—1)

**დაიკარგა** შორაპნის მაზრის სამხედრო აღრიცხვის [illegible] № 4047 ამა წლის 10 აგვისტოს, ჩაითვალოს გაუქმებულათ. ლეონიდ კამკამიძე. (396—1—1)

**დაიკარგა** აღრიცხვის მოწმობა გაცემული შორაპნის მაზრის სამხედრო კომისარიატიდან ალექსანდრე კახ[illegible] სახელზე № 3437. ჩაითვალოს გაუქმებულად. (1—1)

[illegible] მმართველობის პოლიგრაფიული განყოფილების მე-2 სტამბა, კრუზენშტერნის ქ. № 6.